

1895/3



ქართული  
საქმიანობა

№ III




1895



შ ი ნ ა ა რ ს ი

უტურნალის „აჭეჯილისა“

I გლეხი და ანგელოზი, ლექსი ეზოპიდან მ. ჯეჯეშვილისა . . . . .	3
II კინია, ამბავი—ჰანტენ გოთუასი . . . . .	5
III ბრძენი და მოწაფე—ლექსი დ. მახანჯელისა . . . . .	16
IV თოთოლას სიზმარი, მოთხრობა—სალოგანისა . . . . .	17
V პატარაანა და მთვარე, ლექსი—დ. ნინოშვილისა . . . . .	26
VI ტანისამოსი კაცს ხარისხს ვერ მოუმატებს—ფრანგულიდან— ა. წ—სა . . . . .	28
VII ბუზი, თარგმანი—ა. კოჭკოტაძისა . . . . .	41
VIII უზარ-მაზარი ცხოველები—ილიკოსი . . . . .	48
IX მგელი, ძალი და მელია—ა. პანოშვილისა . . . . .	52
X თითები, მისივე . . . . .	56
XI ანდაზები, გამოცანები, ზმნა-გამოცანა, ჩქარა გამოსატქმელი . . . . .	60
სიტყვების გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და რებუსი . . . . .	61



# ჯეჯილი

საქმავფილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, განდი ყანაო!...  
ი. დ.

8906

№ III

შელიწადი გეგეგსე



ტფილისი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა ||| Тип. М. Д. Ротинианца. Гол. пр., д. № 41.  
1895.





ი. შ. ი. ჯ. გ. ჯ.

საქართველოს ენციკლოპედია

თბილისი

Дозволено цензурою Тифлисъ, 10-го Мая 1895 года

III M

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია



კლესი და ანგელოზი

(ეზოპიდან)



რთ კლესსა ტეჟი უეცრათ,  
დაეკარგა საღღაც ცული,  
ემება და ვერ იზოვა,  
აუტირდა საწეალს გული.  
დაჯდა, მწარეთ, გულმხურვალეთ  
ტიროდა და ცრემლსა ღვრიდა,  
საცოდებათ, შესაბრლათ,  
ქვასაც კი ტირილს მოგვრიდა.  
ღმერთს შევედრა: — „ზენაარო!  
შემიბრალე, მომხედო,

ჩემი ცული მახოვინე,  
რომ უმისოთ არ წავხდეო!“  
შეეცოდა ღმერთსაც კლესი,  
ანგელოზი მოუვლინა.  
ანგელოზსა ვერცხლის ცული  
ეჭირა და კლესს უჩვენა:  
— „შენ რომ ცული დაეკარგა,  
მკონია, რომ ეს არიო?“



—,ეგ არ არის,— უბასუსა,  
 ჩემი ცული სხვა არიო.“

მერე ოქროსი უჩვენა:

—,შენი ცული იქნებაო“!

—,არც ეგ არის,— ტუული ვთქვა,—  
 უფალსა ეწეინებაო“.

ანგელოზმა, რკინის ცული,  
 გლესს უჩვენა, ჰკითხა კვალად:

—,არც ეს არის?“ გლესმა რაკი,  
 რკინის ცული ნახა, კვალად:

—,ეს არიო!— სიამით თქვა  
 გლესმა ამის მაგივრათო,

ღმერთმა კარგი და კეთილი  
 მოგანიჭოს მრავალ ფაათო!“

ანგელოზს გლესის ამგვარი,  
 გულწრფელობა მოეწონა.

გულ-კეთილმა, გლესს აჩუქა,  
 დანარჩენი ორი ცული:

—,ჯილდოთ მიიღე ღვთისაგან,  
 რომ გაქვს მისი სიყვარული!


მ. ლელაშვილი



კ ი ნ ი ა

(ამბავი)

I



ატარა მართას ზატარა კვერნა მო-  
ჭკვარეს. მართამ კვერნას კინია  
დაარქვა. კვერნა ძალე შეეჩვია, და-  
უნსლოვდა და დაუმეგობრდა მა-  
რთას. მართაც შეეჩვია კვერნას და  
ძალე ძლიერაც შეუეწარდა. თა-  
ვის კინიას ის ანებივრებდა და  
სულ გულში ისუტებდა. კვერნა

მოიხარდა. დაიწყო ცეცქება და ნაზარდობა. გამოუდგე-  
ბოდა მართას, მარდათ შევარდებოდა სკამსე, იქიდან ლო-  
კინსე გადასტებოდა და მერმე თვით მას თავსე შეასკუ-  
ნდებოდა. მართა მოჭკიდებდა ხელს ბამბურა კუდსე, ჩა-  
მოსვამდა ლოკინსე, მოუჯდებოდა კვერდში და გაუთავე-  
ბელ ალერს დაუწეებდა. სშირათ ალერსში ჩხუბიც შე-  
მოერეოდათ. კინია თავის ჩაკიჭკიჭებულ მოგრძო კბი-  
ლებს მართას ხელს ჩაუჭერდა; მართა ჩაჭკიდებდა მეორე  
ხელს კინერში, მაგრამ, რომ ველარ მოიძორებდა, უურებ-  
ში სულის ბერვას დაუწეებდა, კინია მაშინ ერთს კატა-



სავით დაიღრენდა, გაუსხლტებოდა სელიდან თავის ახირებულ მეგობარს და ოთახში კუნტრუმს დაიწეებდა ხანდა-ხან ცალი თვალთ გარეთაც კი გაიხედავდა, მაგრამ ამწვანებულ მინდორს და ზედ სხვა-და-სხვა შინაურ საქონელს, რომ დაინახავდა, უცებ უკან დაიწევდა, თითქოს რაღაცამ შეაშინაო; მაგრამ მეორე წამში მინც კიდევ გაიჭვრეტდა, რადგანაც იქით სულ გამოურკვეველი ძალა იზიდავდა. მართა აღტაცებაში მოდიოდა თავის კვერნით, არა მარტო ის, სხვებიც შეჭხაროდენ კინიას. აქებდენ მას, აწარწაშებდენ, მაგრამ სძირათ ამასაც დაუმატებდენ:

— კარგია, რომ უგვარო ნადირი არ იყო; როგორც წამოიზრდება, მაშინვე ტუეში გაიწარებაო.

მართა უპასუხებდა სოლმე ამასე:

— თქვენ ნუ გენადვლებათ, ჩემი კინუცია მე არასდროს არ დამტოვებს. — იტყვობდა თუ არა ამას, ის მაშინვე თავის კვერნას კოტრიას და მუსაიფს დაუწეებდა.

— შენ ხომ კაი კინუცია ხარ, გენაცვალე, ხომ არასდროს არ დამტოვებო...

## II

მართამ ძალე კინია ესოში გამოხვლასაც შეახვია. მეორე ხესე შეცოცებაც ასწავლა. მართას სიხარულს ბოლო აღარ ჰქონდა, როდესაც ჰხედავდა, რომ მისი კინია ექვანების რაწკუნით, მოხდენილათ ესოში გაიცუნცულებდა, მარდათ შევარდებოდა სის წვეროსე, სწრაფათ დაეშვებოდა იქიდან და უცებ მიწასე ისკუპებდა. კვერნა და მართა ერთათ ცელქობდენ და ერთათ ესოში დანაზარდობდენ.



მაგრამ კინია მალე მუხლმა გაიტაცა. ის გაეპარა მართას, გაიქცა სახლიდან შორს, ჩაჯდა ბაღასში ტყის მხლობლათ, გაიხედ-გამოიხედა იქით-აქეთ, რომ არავინ მიუღწევსო. გააშვირა ზევით თავის წასიქსიქებული ტუჩი და ისე მაგრათ სუნთქვა დაიწყო, თითქო სურდა თავის პაწაწა ნესტოებით შესუნთქული იმ არე-მარის ჭყერით დამტკბარყო და თანაც შეეცო ნეტა სად უნდა იყოს ის საოცნებო მხარე, სადაც მოიპოებს იმ ბედნიერებას, რომელიც აქ, ამ ფუფუნებაში მას აკლია. დიანს, თვითონ გრძნობს, რომ რაღაც აკლია და აკლია ისეთი რამ, ურომლისოთაც სულდგმულის არსებობა იგივე ჯოჯოხეთში, სატანჯველში წვალებსა. მას აკლია მთელი ბედნიერება, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ბედნიერება ჯერ ნათლათ ვერ გამოურკვევია.

სუნთქავდა დიდხანს, მერე თითქო მიაღწია მიხანს, თვალები ცეცხლივით ანთო და თავის ადგილიდანაც წამოვარდა. ეყვნება რაწკუნის დაიწვეს.

— უი, ჩემი კინია სად წამოსულაო, დაიძახა მართამ, რომელიც კვერნას გამწარებული დაეძებდა და მისკენ გაექანა. ხმის გაგონებისთანავე კინია შეჩერდა და, დაწინაშე ვესავით, იქვე ჩაიძალა. ის მაშინვე დაიჭირეს და რადგანაც ეჭვი აიღეს, ტყეში გაგვეპარებაო, მისი შესაფერი ჯაჭვი შეაბეს კისერზე და მართას ოთანში დაატუსაღეს. კვერნას ჯაჭვი სრულებით არ ეჭაშნიკა. ის გადიზიანდა, ჭკბენდა გამფლელ-გამომფლელს და შეძლებისამებრ ჭკლეჯდა და ამტვრევდა იქაურობას. ახლა კი მიჭხვდა კინია რა ჭკლებია მას და რა უნდა გაესადა სასურველი საგნათ. ტყის საუცხოვო ჭყერი არ შორდებოდა მას გონებიდან და



მოუსვენრათ თავისკენ იხიდავდა. კინიამ გადაწვევიტა, რომ თავის სამშობლოში უსაუოთ განარეულიყო და იქ სრულ თავისუფლებაში ენაფარდნა.

მართლაც ერთ საღამოს წაიძრო თავსე ჯაჭვი და ღია ფანჯარაში გადაძვრა. ექენის სმა და ძაღლების ეეფა რომ გაიგონეს, ვეველა გარეთ გამოცვინდენ, მარა გვიანდა იყო. კინია ვეღარსად იპოვეს.

### III

მეორე დღეს დილით ადრე თვალცრემლიანი მართა დადიოდა ეზოს ასლო-მასლო და თავის სავუარელ მეგობარს უძახოდა:

— მოი, ჩემო კინუცია, მოი შენს ღართასთანო. ბევრი უძახა, ბევრი აეურა, იქნება სადმე ექენის სმა მაინც გავიგონოო, მაგრამ სამწუხაროთ არსაიდან ბაიბურიც არ იხმოდა, თითქოს განკებ სამარისებური სიჩუმე გამეფებულყო. ჩიტებსაც კი შეეწვევიტათ თავის საამური ჭიკჭიკი და დღიურ საზრდოს საპოვნელათ გაფანტულიყვენ.

დნაღვლიანებული და გულჩათუთქული მართა, სასლოში დაბრუნებას აპირებდა, რომ უცებ მოესმა: „ჭრუჭ, ჭრიაჭ“. სწორეთ შაშვის ბარტეია, გაიფიქრა მან და სმა გაკმინდა. შაშვის ჭურღული კიდევ მოისმა. ძაღვ თვით შაშვიც ერთი ბუჩქიდან მეორესე გადაფარტქაღდა. მართა გახალისდა, სახე გაუნათღდა, ბაგესე სიამოვნების დიმილმა გაურბინა. კვლავ გამეფდა მის არსებაში ბავშური სიცოცხლე, სიძარღვე, სიძალხასე და იმ წამსვე ის თავ-



დავიწეებით შაშვს გამოეკიდა. ცოტა ხანში დაიჭირა ის, ჩაისვა უბეში და შინისკენ გაფრინდა.

— კინია კი გამექცა, მაგრამ სამაგიეროთ შაშვი და-  
ვიჭირეო. ახარა მან თავის დედას.

— ჰო, შვილო, შაშვი არ ჯობია იმ ბინძურ მხეცს.  
ეს შვენირე გალობას დაიწეებს და ის კი მარტო გვა-  
წუხებდა. ნულარ იჯავრებს, შენ კენაცვალს დედემენი, სი-  
რცხვილი არ იყო წუსანდელი დამე რომ ტირილით გა-  
ატარე?

— ჩემი კინუცია კაი იყო, ის ჩემ ჰატარა მამიასა-  
ვით მიუვარდა, მარა, რადგანაც გამეზარა, იმის ჯინაზე ამას  
დავუწეებ ფერებს და ალერს.

თქვა მართამ ნადვლიანი ხმით და შაშვს მხრებზე  
ხელი გადაუსვა, ვითომ კიდევ მოეაღერსა, მარა ეს ალე-  
რსი მხოლოთ ძაღდატანებითი იყო და არა წრფელი გუ-  
ლისაგან ამონადენი. გული ჯერ ისევ კინიას ეკუთვნოდა  
და ეოველ წამში მის დაბრუნებას ელოდებოდა.

მაგრამ რამდენათაც მართას კვერნის დაბრუნების იმე-  
დი ეკარგებოდა, იმდენათ უფრო უახლოვდებოდა ის თა-  
ვის ახალ მეგობარს. სრუნველობას თანდათან უმატებდა,  
აძლევა წამისწამ საჭმელს, ბანდა წებლში ტანს, არ  
იძორებდა იმასაც სელიდან და ხანდახან გუჟობაც კი ჩა-  
ისუტებდა. ერთი სიტყვით ცდილობდა მოელი თავისი კვე-  
რნისადმი სიუვარული სახსებით შაშვსე გადაეტანა. თუძცა  
ეს ასე იყო, მარა შაშვი მანც თანდათან სიძალსაჲს  
ჰკარგავდა. მოიბუსა და ძაღე საბრალო სანასავი შეიქნა.

მართა დარწმუნდა, რომ შაშვი დღეს თუ არა სვალ  
ხელიდან გამოეცლება, თუ რამ არ უსაშველა. დაებადა მი-



სდამი უზომო სიბრალული და თავი გადადებული ჰქონდა, ოღონდ კი შაშვი გაემსიარულებინა. შაშვს მანც არაფერი უხდებოდა. იმედ გადაწევეტილი მართა მას თავს ევლებოდა, თან ეველას ემუდარებოდა მ. რჩიეთ ერთი რაჟქნა, რით მოვარჩინო საბრალო შაშვიო.

## IV

დღეს მესამე დღეა, რაც კინია გაიზარა. მართა თავისი შაშვით სელში დამჯდარა და ნადვლიანათ ჩაფიქრებულია.

— იქნება ახლა დანავარდობს ხის წვეროებსე ჩემი კინია და მე სრულიათაც აღარ ვახსოვარ. ფიჰ, რა უსინდისო ეოფილა? აქაური მოვლა და საჭმელები სად გაახსენდება. მიეზარება სადმე ხის წვეროზე ჰატარა ჩიტს, დაიჭერს და ჩახრამუნეს, მაგრამ რანაირათ მიეზარება? — გაუელვ უცებ თავში. ექვები რომ ჰკიდია! ჩიტი ხომ მაშინვე შეიტყობს მის მიახლოებებს და იმ წამსვე იქიდან გადაიკარგება. ვაი, საცოდავო კინიავ, რავა დარჩი მძიერი! დმერთო, იქნება ჯერაც არაფერი უჭამია, რალას იხამს უბედური, ხომ დაიტანჯება. მართა სიბრალულმა გაიტაცა, მაგრამ მალე ამ უკანასკნელმა სულ სხვა გრძნობას ადგილი დაუთმო.

— მარა ისე ეკადრება, რას მირობდა ჩემგან? მუცელი რომ აეწვევა, მაშინ კი გაახსენდება მისი მართა! მარა რალა დროის იქნება, მე შორს ვიქნები... ერთხელ მანც მაჩვენა კიდევ, სხვას აღარ ვჩივი! საცოდავი, რა ტანჯვაში იქნება ახლა? ვინ იცის, იქნება ავათაც კი გახდა!



კვერნამ კბილის ტკივილი იცისო, მითხრეს, თუ ატკივ-  
და არც ვადარჩებაო... მარა კბილს რა ატკენდა? ვაი თუ  
სხვა უბედურება შეემთხვა, აქ რომ ძაღლებს ეთამაშებო-  
და და ზურგზე ასკუჭდებოდა, თუ იქაც გაეთამაშა ტურას,  
ტურა სომ არ დაინდობს, წააფრინდება ჩემ კინიას და  
გემრიელათ შეახრამუნებს. ამ მოსაზრებამ მართა მთლათ  
ააცანცანა და ადგილიდანაც შეასტუნა. თვალებზედაც ცრე-  
მლები მოადგენ. ის დიდხანს ტეისკენ იუურებოდა, მერე  
ვეღარ შეიძაგრა გული და მისი გრძნობიერი თვალები-  
დან ლოყებზე ცრემლები მარგალიტსავით გადმოცვივნდნ.

ერთი ვუღიანათ ამოიხსრა, ჰირი სასლისაკენ  
ჰქნა, რომ რაღაცამ მის წინ გაიცუნცულა. მართა დაა-  
კვირდა. თავის თვალებს აღარ უჯერებს. მის წინ მისი  
კინია გაჩერებულა. მაგრამ რა რიგათ გამოცვლილა. უწი-  
ნდელი ლამაზი, ცელი, ცქაფი კინიასაკენ მხოლოდლა  
ლანდი დაჩენილა. თვალები მთლათ მიჰკარგვია. კვერ-  
დები ერთი მეორეზე მიჰკვირია, ღონე მიღევია და მისი  
საუცხოვო ბეწვებიც კი, რომელზედაც უწინ მწერსაც არ  
დაიჯდენდა, ახლა ეკვერ-აკვერ ტალახის მიკვირითაც შეუ-  
რაცხ-ყოფილა.

— ვაი სულო, ჩემი კინიაო! დაიძახა მართამ და მი-  
სკენ გაეჩანა. მართას ხმაზე მთელი ოჯახობა კარეთ გა-  
მოცვივნდა. კინია თითქო გრძნობდა თავის მძიმე დანა-  
შაულს. თავი მიწისკენ დაეხარა და ადგილიდანაც არ ინ-  
ძრეოდა.

მართა სისწრაფით მივიდა მასთან და დასაჭერათ ხე-  
ლი გაუწოდა. კინია შეკრთა. წარმოუდგა მას რა დიდ  
ბედნიერებას ჰკარგავდა და ინსტიტუტურათ განსე ვადანტა.



მაგრამ ერთი ადგილიდან მეორეზე კონტათ გადასწობალების მაგივრათ, ის ისევ იქვე ჩაეცა. მართამ მაშინვე კისერში ხელი წაავლო. კინიამ ერთი გულის შემხარზვით დაიწინინა და დანებდა. ამ წრინინში ის თავის დაკარგულ თავისუფლებას ეთხოვებოდა. მართამ კინია მარჯვენა ხელზე დაისვა, მარცხენაში აფუხული მამვი ეკავა.

— უი როგორ ჩასჭირებია კისერში ხავერდი, კინაღამ დაუსრჩვია. წამოიძახა კინიას დაბრუნებით აღტაცებაში მოსულმა მართამ, და მაშინვე შეაძრო კისრიდან ხავერდის ვიწრო ნაჭერი, რომელზედაც ორი ექვანი ეკიდა.

— დედა, შენ გენაცვალე, განაგრძო მან, კინიას ასკლავე რამე უნდა ვაჭამოთ, თვარა სულს ძლივსღა ითქვამს, მუშინია არაფერი დაემაროს. ამ სიტყვებთან მან სამისა რეულოში გაქცევაც დაანირა.

— მოიცა, შვილო, გაახერა დედამ, ასკლავე ეველაფერს მოგიტანებენ.

მაღე მოვიდა მოსამსახურე და მოასსენა, რომ კვერნის საჭმელი არაფერი არ არისო.

— რაგა თუ არაფერია, გაწერა მართამ, ან რქე იქნება, ან ეველი, ან კვერცხი, ან სხვა რამე.

მოსამსახურემ ეველაფერზე უარი მოასსენა — დღეს ძროხები არ მოგვიწველიან, ეველი დილას მიირთვეს. ხმელი ეველი კი არის მარა კინიას აწეენს და რაც კვერცხები იყო ეველაზე ქათმები დავაჯინეთო.

მართას აღმური მოედო, — რა ექნა აბა, თუ ასკლავე არაფერი არ ვაჭამე, კინია ხომ მოკვდება, მომიტანეთ რამე, იქნება ხორცია სადმე დარჩენილი. მოსამსახურემ თავისი განაგრძო: — ხორცი საღამომიდი არ იქნება. ვასშმისთვის



რომ ქათამს დაგველაგო, კუჭ-ღვიძლს კვერნას შევუ-  
 ნახავო.

— ვაიძე, შე სამაგელო, ვახშობბადის კინიას რა გა-  
 ძლებინებს? მომინახე ახლავე რაძე! ჭადის ნატესი მანც  
 იქნება, წვალში დავასოლებ და ისე ვაჭმევ.

— ტყულობთი ფინისაიცი არ მორჩენილა, ნახადი-  
 ლევს ძაღლებს კადუებრეთ.

— შე უსინიდილოვ, რაფა ეოლიფერი მომისძე, რაძე  
 მონახე მანც!

— რა მოვინახო, რომ არაფერი არაა!..

ძარტას თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ღმერთო, რაღა ვქნა ახლა, რა ვაჭამო ჩემ კი-  
 ნიას?!

— ბატონო, წამოიძახა მოსამსახურებ, მა ძაძვი მა-  
 ინც არ კადარჩება და კინიას რომ აჭამო რა უჭირს?..

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ძართა ცუცსლივით  
 ანთო და ორივე ხელები რომ გაკავებული არ ჰქონე-  
 ბოდა, მოსამსახურეს შიგ ცხვირში იეცემოდა. მაგრამ ამ  
 ძღველვარებაძაც წამსვე კადაუარა.

— ძართლა, რა იქნება შაძვი რომ კინიას ვაჭამო? —  
 გაიფიქრა მან, მაგრამ თავი მაშინვე ძირს დაუძვა, თით-  
 ქოს შერცხვა თავისი ფიქრისო. მერე წუნარათ შაძვისაკენ  
 გაიხედა. — საცოდავი, როგორ მობუზულა! მკონი, არც კი  
 კადარჩეს. კინიაც რომ მომიკვდება, რომ ახლავე არაფე-  
 რი ვაჭამო? რაღა ვქნა მაშინ! სომ არც შაძვი მეოლეება  
 და ადარც კინიას. განა არ ჯობია ისევ საყვარელი კინიას  
 დამრჩეს?! აბა, ვაჭმევ!.. ძარტა გამძაღბრი, ღონესე მოსული  
 კინიას, რომ გამეცეს? მაშინ რაღა ვქნა? ტყუილთ კადა-



კდებული არ დამირჩება საწყალი შაშვი? იქნება საცოდავი კიდევ მორჩეს, დაიწეებს შენაირ ჭუკჭუკს და გალობას. დაუნდობელი კინია, შეიძლება კიდევ ქე გამეძცეს! არა, არ ვაჭმევ... სამი დღე თუ გაძლო უჭმელი, სადამოდისაც მოიცდის, მარა რომ ვეღარ მოითმინოს, ვეღარ გადაიტანოს უჭმელობა და ხელში მომიკვდეს?.. ბავში საშინლათ დაიბნა, სასესე წამოწითლდა და რბლაც ბურანში გაესვია. ის ჩახერდა კინიას, მისი თვალების სასარელმა გაძომეტყვევებამ მართა შეხატუნა და ოდნავ გამოიყვანა ამ ბურანიდან. — არა, სწორეთ რამე უნდა ვაჭამო, თვარა საქმე გლახათ არის. მართამ ახლა შაშვისაკენ გაიხედა, იმის საცოდავი მდგომარეობა მართას კულის კიდევ უფრო უმატებდა მისდამი სიბრალულს.

— არა, არაფერის გულისათვის შაშვი არ უნდა გავიმეტო. შაშვმა თითქმის იგრძნო, რომ ძღეღვარებაში და გრძნობათა ბრძოლაში იყო მისი მართა, ააშვირა ზევით თავის მოუვითანო ნისკარტი და ნაღვლიანათ დაიჭუკჭუკა — ჭრუჭ, ჭრუჭ!

— ღმერთო, ამისთანა საბრალლო არსებას, როგორ გადაგდებს ადამიანი, როგორ შეაჭმევინებს თავის თვალის წინ რომელსამე მხეცს! გაიფიქრა მართამ. არა, არაფერის გულისათვის არ ვაჭმევ. სხვა რამეს ვიშოვნო. შაშვიც შეუოლება და კინიაც. ეს უკეთესი არ იქნება?

შაშვის ჭუკჭუკმა კინიასე სულ სხვა მოქმედება იქონია, ის წელში აიწურა, თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლები გადმოჭუბრა, გაშმაგდა, ნდომამ გაიტაცა და წამის განმავლობაში მართას მკლავიდან ისკუჭა. მართამ შეკვი-






ლებაც ვერ მოასწრო, რომ კინიას მისი შაშივი ჰიროში  
ეკავა და თავის ბრჭყალებით გამწარებულათ მოქმე-  
დობდა.

მართა კინიასთან მივარდა, სურდა მის ბრჭყალებიდან  
შაშივი გაეთავისუფლებინა, მაგრამ გამსეცებულმა კინიამ,  
ჩვეულებისამებრ, კატასავით დაიდრინა და მართას ხე-  
ლზე რაც შეეძლო მაგრათ უკბინა.

მართას ხელი ემწვავა. ჭრილობებიდან სისხლიც სი-  
სწრაფით გადმოწვეთდა, სახესე გაფითრდა: — ვაიო, დაიძა-  
სა და გულიც წაუვიდა, კინიამ ამით ისარგებლა. გაა-  
თრია თავისი მსხვერპლი და საყვარელ სამშობლოსკენ  
კაცუნცუღდა.

პართენ გოთუა





## ბრძენი და მოწაფე



ოწაფე ბრძენსა ჰკითხავდა:  
 მიბრძანე, რისგან ჰხდებოა,  
 მდიდარსა კაცსა უტყინოს  
 მტერიც კი ქვეშ ეგებოა.  
 ყველა მას ეაღერსება,  
 მეფეც მას ეფერებაო,  
 და საწყალს ბრძენს კი არვისგან  
 არა აქვს პატივ-ღებოა.  
 — მისგან, რომ ფული ყოველ-  
 თვის

მდიდრისგან იეაღებოა,  
 სიბრძნე კი ნიეთი არ არის—  
 არვისგან ისესხებოა.

დ. მაჩხანელი



თოთოლას სიზმარი



ოთოლა ახლა ექვის წლისაა. ორის წლისა იყო თოთოლა, როცა დედა მისი საწუთროს გამოესალმა და ობლათ დატოვა თავისი საყვარელი, სულის სწორი, პაწია ასული.

თოთოლას მამა, ანტონი, ახალგაზდა საყვარელი ცოლის დაკარგვის ცეცხლს თოთოლას აზრდაში ინელვებდა. ამ სამის წლის განმავლობაში თითქმის თვალიდა-


ნაც არ მოუშორებია. თავის ხელით აქმევ-ასმევდა, აცმევდა, თავისთან იწვენდა და გულსა და სულში იხუტებდა.

ქერა ხუჭუჭი თმა აშვენებს თოთოლას ლამაზ თავს; სხივიანი სიცოცხლით სავსე, ჟუჟუნა თვალები ვარსკვლავებივით გადმოსცქერის ვარდისფერ ფუნთულა ლოყებს; ერთის სიტყვით მისი სახის ყოველი ნაწილი იზიდავს თავისკენ კაცის თვალსა და გულს.

ამ ერთი თვის წინათ ანტონი თავის ეზოში იჯდა სკამზე. მის წინ თოთოლა ჩხირების სახლს აშენებდა, ბალახებს გლეჯდა და ზევით სახურავათ აფენდა. ამ დროს ანტონთან სტუმრათ მოვიდა ეტლით ერთი მისი ნაცნობი ქალი და თან მოიყვანა შვილის წლის ვაჟი. ანტონი სტუმარ ქალს მიესალმა. ეს იყო ანტონის მეგობრის ქვრივი სახელათ ანეტა. ანტონთან, როგორც თავის ქმრის მეგობართან, მოვიდა ახლა ეს ქალი, რომ ეკითხა მისთვის რჩევა თავის ობლის აზრდის შესახებ.

თოთოლა და სანდრო, მალე შეეთვისენ ერთმანეთს და გააბეს ათასნაირი თამაში და ცეცქობა. ბოლოს თოთოლამ სანდროს უთხრა:

— მე გავიქცევი და შენ გაომეკიდე, აბა თუ დამიქერო, თქმა და შესრულება ერთი იყო. თოთოლა ქარივით მიქროდა, მისი ოქ-





როსფერი ხუჭუჭი თმა სამურათ ირხეოდა და ბრწყინავდა მისის მზის სხივებზე. თოთოლა მარდათ გარბოდა, მაგრამ სანდროც მარჯვით მიდევდა... აი მიეწია სანდრო, ხელები გაიშვირა დასაქვრათ, მაგრამ თოთოლა ელვასავით განზე გახტა; სანდროც იმას მიყვა — და უცებ მიწაზე გაიშობა და ღრიალი მორთო: თურმე ფეხი ხის ძირისათვის წაეკრა, და როცა დაეცა, ხელები ხმელ ეკლისათვის დაეკრა და ეკლები ხელში შესობოდა.

ამასობაში ანტონი და ანეტა სკამზე ისხდნენ ერთათ და მუსაიფში გართული იყვნენ. სანდროს ღრიალი რომ გაიგონეს, ორივე მასთან მივირდნენ. ანეტამ ააყენა თავისი შვილი, ეკლები ხელიდან გამოუღო და დაუწყო კოცნა, ხევენა და ალერსი. თოთოლა გვერდით უდგა ანეტას და შეშინებულის, დაღვრემილის სახით შეცქეროდა სანდროს; ერთ წამს ჩუმათ უცქერდა ეს თავის მეგობარს, და როცა ნახა, რომ სანდრო არ ჩუმდებოდა, ამანაც ცრემლები გადმოყარა და ხმამაღლა ტირილი იწყო. ანეტამ მოხვია ხელი თოთოლას, ისიც გულზე მიიხუტა და დაუწყო ფერება. თოთოლა მიეკრა ძუძუებზე ანეტას და ერთ წუთს შემდეგ მიყუჩდა; სანდროც ნელ-ნელა დაწყნარდა, ცრემლები მოიწმინდა და თავის დედას სახეზე კოცნა დაუწყო. თოთოლამ თავი აიღო და დიდრონი ჟუჟუნა თვალები ანეტას თვალში გაუყარა; ამ შეხედვამ სიამოვნებით აავსო თოთოლას გული და — ანგელოზებრივი ტკბილი ღმილი გამოიხატა მთელს მის სახეზე. გაიარა კიდევ ერთმა წამმა და — ბავშვები ხელახლავ მხიარულათ დაქროდნენ ეზოში, დაცქრილობდნენ და იცინოდნენ.

მეორე საათი იქნებოდა, რომ ანეტა და სანდრო შინ წავიდნენ. თოთოლამ ძალიან მოიწყინა: სულით და გულით ენატრებოდა, რომ ისინი მასთან დარჩენილიყვნენ, სულ მასთან ყოფილიყვნენ. ანეტას ლამაზი სახე თოთოლას ჩარჩა თვალში; მისი მოფერება, მისი ალერსი დიდხანს უფლიდა ძარღვებში ტკბილ ჟრუანტელათ... „რა კარგი იქნება, ანეტა რომ ჩემი დედა იყოს!.. როგორ მომეფერებოდა, როგორ მაკოცებდა, ძუძუებში ჩამიკრავდა!.. ღმერთო, რატომ არ მყავს დედა!..“

— მამა ჩემო, მამა! — მიიბრინა თოთოლამ მამასთან და ჩაეკითხა: — მამა ჩემო! რატომ არ მყავს მე დედა? სად არის დედა ჩემი?

— დედა შენი, შვილო, ცაშია, ღმერთთან არის...

— რა უნდა ცაში? რატომ ჩვენთან არ არის? აი, სანდროს



დღეა ხომ აქ არის. ეფერება თავის შვილს... მე რატომ არ მეფერება დედა? რატომ არ არის ჩემი დედა ჩემთან?..

ანტონს თვალზე ცრემლი მოადკა, მაგრამ შვილს თავი მხიარულათ აჩვენა, ხარბზე კბილი დაიჭირა და ცრემლები შეაჩერა; შემდეგ თოთოლა ხელში აიყვანა, მოეფერა, აკოცა და უთხრა:

— ჩემო საყვერელო შვილო! მე არა ვარ აგერ შენთან? მე ხომ გეფერები, გკოცნი, გულში გიხუტებ!.

— შენ კაი ხარ, მარა, დედაც რომ მეფერებოდეს, კიდევ უკეთესი იქნება... შეუთვალე, მოვიდეს აწი დედა ჩემი... წაეიდეთ და მოვიყვანოთ... მე წავალ დედა ჩემთან, მე ჩემი დედა მინდა ენახო...

თოთოლას ხშირათ გაუგონია: ეს და ეს კაცი მოკვდაო, ღმერთმა ცაში წაიყვანაო, — მაგრამ კარგათ არ ესმოდა, თუ რა იყო სიკვდილი.

— მამა! მითხარი, შორს არის დედა? მე წავალ და ენახავ. მარა, რომ ვერ ვიციხო?.. როგორი თმა აქვს? თვალები როგორი აქვს? ან ტანს რა აცვია?.. ანეტას ხომ არ გავს?.. რა კარგი იქნება, თუ ანეტას გავს!..

— კი გავს... გავდა, შვილო, ანეტას, ძალიან ჩამოგავდა... მარა ის შორს არის... ჯერ ვერ წავალთ; როცა მოვხუცდებით, მაშინ წავალთ და ენახავთ..

— არა, მე ახლა მინდა ენახო... ანეტასავით კარგია? ისე ლამაზი?.. ღმერთო, რა კარგი ყოფილა!.. ოხ, მე მინდა—გულში, ძუძუებში ჩავეხუტო დედა ჩემს, როგორც სანდრო ეხუტებოდა დღეს თავის დედას.

იმ დღეს, სანამ ძილის დრო მოუწევდა, თოთოლამ სამჯერ კიდევ გაუბა მამას საუბარი ამ საგანზე. ანტონი ცდილობდა — გაერთო თოთოლა, და ამისთვის მასთან ბალანსავით თამაშობდა: ხან ბურთაობდენ, ხან ყვავილებს კრეფდენ, ხან ჩხირობიას თამაშობდენ.

დალამდა. ანტონმა თოთოლას ჩაი დააღვეინა, შემდეგ ხელპირი დაბანა, დააწვინა, ყრთხანს გვერდით მოუწვა, ზღაპრები უამბობდა და მიაძინა.



„დედა ჩემი უნდა ენახო, უსათუოთ უნდა ენახო“, ფიქრობს თოთოლა:

„მოენახავ და ჩავეხუტები გულში ისე, როგორც სანდრო ეხუ-



ტებოდა ანეტას... წავალ, წავალ საძებრათ, მაგრამ მარტო როგორ წავიდე? მამა წავიყვანო? მოდი ვეტყვი მამა ჩემს, ეგებ ისიც წამოვიდეს.. მაგრამ ვაი თუ არც თვითონ წამოვიდეს და არც მე გამიშვას!.. მამა ჩემი კიდეც მეტყვის: „დედა შენი — ცაშიაო“, და თავიდან მომიშორებს... ჯობია, უკითხვავთ წავიდე, სულ მარტო წაედე და მოვძებნო დედა ჩემი... „ცაშიაო!“ ცაში რა უნდოდა? ყოველი კაცი აქ არის, მიწაზე და დედა ჩემს ცაში რა უნდა?.. წავალ, წავალ, ყოველ კაცს ვკითხვავ და მასწავლიან სადაც არის... ღმერთო, როგორ გაუხარდება დედა ჩემს ჩემი ნახვა!.. მე კისერზე ჩამოვეკიდები და ტუჩში ვაკოცებ, მერე თვალებს ამოვუკოცნი, ძუძუებზე მივეკვრი... ოხ, რა მიყვარს დედა! რა კარგია დედა! მამაც კარგია, მამაც მიყვარს, მარა დედა სულ სხვა ყოფილა, დედამ უფრო ტკბილი მოფერება იცის...

„ღმერთო, ეს სადა ვარ? რა უცებ მოვშორდი სახლს! უხ, რა შორს დავტოვე ჩვენი სახლი! რას იფიქრებს ახლა მამა ჩემი, სახლში რომ ვერ მნახავს?.. შეწუხდება, — რა თქმა უნდა — შეწუხდება. მარა დედას რო მოვძებნი და შინ მოვიყვან, მაშინ კი გაიხარებს და ყოველიფერს მაპატიებს...“

„ვაიმე, ეს რა არის! რამხელა ძაღლია აგერ!.. შეხედე, ჩემკენ მოდის!.. სად მოდიხარ, საძაგელო ქოთაკო? რა გინდა ჩემთან?.. მე დედასთან მივდივარ, დედას ვეძებ, დედა მინდა ენახო და შენ ხელს მიშლი?.. აჰა! შენ კიდევაც იღრინები? კიდევაც მიყეფ?.. მო—ცადე, ერთი ჯოხი ვიშოვნო საღმე... აი, ჯოხიც აგერ არის... აბა ახლა მობძანდი! ახლა შემაშინე, თუ გულადი ხარ!.. ოჰო! შეგაშინე თუ არა? ხომ გაგაქციე!..“

„ღმერთო! ეს ძაღლი კიდეც აგერ არ გამოჩნდა! კიდეც წინ მიხედება! მარა ახლა აღარ იღრინება... მოდი მოვეფერები, მპა, მპა, მპა! სუ? ჩვენი მურია ყოფილა!.. მე სულელმა ამღენხანს რატომ ვერ გიცანი? წამოდი, წამოდი! დედა ჩემი მომამძებნიე, წავიდეთ ერთათ .. აწი რა მიჭირს, მურიაც ჩემთან მოდის...“

— გამარჯობა შენი, ბერიკაცო!.. შენ დედა ჩემს ვერ იცნობ? მე ანტონის შვილი ვარ. დედა ჩემი ლამაზი ქალია, წაბლის ფერი გძელი თმები აქვს დაწნული, წელამდის აყრია; შავი თვალები, სწორი ცხვირი, შეწეიერი ტუჩ-კბილი...“

— ვიცნობ, ვიცნობ, როგორ ვერ ვიცნობ! შენ ანტონის შვილი ხარ? დედა შენს ანეტა არ ქვია? როგორ ვერ ვიცნობ!..

— ანეტა ჰქვია?! ჰო, ჰო, როგორ არა, ანეტა ქვია.



— ვიცნობ, ვიცნობ, ჩემო ტურფა გოგონა!.. დედა შენი შორს არის, შენ დაიღალე იქ მისელამდი.

— არა, არა, ჩემო კეთილო ბერიკაცო! შენ ოღონდ მასწავლე სად არის.

— აი, ასე იარე, ბაბუ! იარე სულ ამ გზაზე; ეგერ იქით რომ ტყე მოჩანს, ის ტყე უნდა გაიარო, მეჩრე იქით წყალია გასავალი, წყალს გაღმა მაღალი მთაა, მთას გადაღმა მინდორია. იმ მინდორს კიდევში ბაღია, იმ ბაღში ერთი ლამაზი სახლი დგას და იმ სახლში ცხოვრებს დედა შენი...

— ოხ, რა მაღლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო ბაბუა! მაღლობელი ვარ, მაღლობელი... შეიდობით, ბაბუა!.. მპა, მპა! მურია, გზას გავუდგეთ, დედა ჩემი მოენახოთ.

„პა, ესეც ტყე!.. მზე ჩადის, ღამდება... ღმერთო, რა მეშინია!.. მაჩაჩემს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ტყეებში მგლებიაო... მეჩრე ამ ღამეში რომ მგელი დამხვდეს გზაში, რაღა ექნა?! მარა შიში რა ღროსია!.. დედა ჩემს თუ კი ენახავ, მგლის როგორ შემეშინდება!.. მეჩრე ჩემი მურიაც თან მახლავს!.. მპა, მპა! წავიდეთ, წავიდეთ! აი, აგერ გზა: სულ ამ გზაზე ვიაროთ, არსათ გადუხვიო მურია!

„უხ, რა მაღალი ხეებია!.. რამ გაანათა ეს ტყე ამ ღამეში?! მართლა, მთვარე ეგერ ცაში... ვიშ, რა სამსე მთვარე! მზესავით ანათებს, დღესავით სინათლეა, ყველაფერს ეხედავ ამ დაბურულ ტყეში... ღმერთო! ჩემო, ამას რას ეხედავ! აგერ პატარა კურღლეები! რა ღამაზებია! როგორ ხტუნავენ, როგორ იმალებიან ჩირგვებში!.. ეტყობათ, მურიასი შეეშინდათ... პა, მურია, ნუ ერჩი, გენაცვალე, თავი დაანებე, ისტუნონ თავისთვის... რა ღამაზებია საცოდავები! ის დიდი კურღლეელი ალბათ ამ პატარების დედა!.. რა ბედნიერები არიან, დედასთან თამაშობენ, დედა ყავთ!.. მურია! წავიდეთ! სად გეცალია ამათვის, დედა ჩემი უნდა მოეძებნოთ...

„ღმერთო! ის რაა, ეგერ შორს რო მოჩანს? გაჩერებულა, მე მიყურებს, მიპრიალებს თვალებს!.. პირი დაულია, ძალღივით იღრინება... სუ! ეს სწორეთ მგელია!.. ვაიმე, რა ექნა?! მარა შიში რა ღროსია!.. რა გინდა, შე საძაგელო მხეცო?.. პა, მურია! აბა ეცი შავას! ეცი, ეცი!.. ოპოპოპო!.. ყოჩაღ, ჩემო მურიელა! მასე უნდა მაგ საძაგელს!.. ოპო, ყელში, ყელში! ჩაუჭირე კბილები, დაახჩეც!.. გოჩაღ, ჩემო მურია!.. კარგი აწი, დამხჩვალა, თავი დაანებე!.. ღმე-





რომ ჩემო! აგერ კიდევ მეორე მეგელი!.. ვაიმე! მურისა დაეტყა!  
 ვაი თუ აჯობოს!.. საწყალი ძალი დაილალა ამდენ ბრძოლაში,—  
 ვაი თუ ვერ მოერიოს!.. ვაიმე. ვაიმე! მეგელი ერევა... დასცა... ქვეშ  
 ჩაიდვა!.. ღმერთო, სად არის ერთი სარი!.. ნუ გეშინია, მურია! ნუ  
 გეშინია! აგერ სარიც!.. მოვდივარ, მოვდივარ, ნუ გეშინია!.. ჰუ, ჰუ!  
 ჰუ, ჰუ! ერთი, ორი! ერთი ორი!.. ოჰო! მასე გინდა შენ! გაგიტე-  
 ხე თავი, თუ არა?! აი, შე საძაგელო შენ! რა გინდოდა ჩვენთან?  
 რას გვაკავებდი ამ ღეთის გაჩენილ გზაზე?! აწი კარგი, ჩემო მუ-  
 რიკა! მოდი, გაკოცო... ოხ, შენ გენაცვალე, რა ერთგული ხარ, რა  
 კარგი ხარ!.. წავიდეთ, წავიდეთ! ნულარ ვიგვიანებთ!..

„მადლობა ღმერთს, ტყვეც გათავდა... ეს რის შესილი მესმის?  
 ჰო, მართლა, მდინარეა. ბერიკაცმაც ასე მითხრა: ტყვეს შემდეგ მდი-  
 ნარეაო... რა დიდი წყალი ყოფილა! ჩვენს ახლოს რომ წყალია,  
 იმაზე დიდი მოჩანს. როგორ ღელავს, როგორ მოაგორებს ზვირ-  
 თებს!.. ღმერთო რა ექნა ახლა? ამხელა წყალში რა გამიყვანს?! რომ  
 არ გავიდე, აბა რა ექნა? „ტყის იქით წყალია, წყალს გაღმა მთა,  
 მთას გადაღმა მინდორი, მინდორის კიდეში ბაღი, ბაღში სახლი და  
 იმ სახლში ცხოვრობს დედა შენია“,—ასე მითხრა იმ კეთილმა ბე-  
 რიკაცმა. ჯერ კიდევ შორსა ვარ, ჯერ კიდევ დიდი გზა მიძევს წინ...  
 აწი რა ექნა, ამ წყალში რათ გავიდე?.. ჩვენს ახლოს რომ წყა-  
 ლია, იმაზე ნავია და იმით გავედი-გამოვდივართ ხოლმე შიგ, აქ კი  
 ნავი სად იქნება!..

„დაიცა, ეს რა მოჩანს წყლის პირათ?—როფი! დიახ, როფი;  
 სულ იმისთანაა, ჩვენს გოგოს რომ აქვს სარეცხისათვის... მოდი  
 ერთი ჩაუშვა წყალში, თუ აცურდეს ნავივით... რატომ არ აცურ-  
 დება, ნავს ძალიან ჩამოგავს!.. დაიცა ერთი, სარტყელი მოვება,  
 რომ წყალმა არ წამართვას... სარტყელიც მოვები... აბა ახლა წყა-  
 ლში ჩაუშვა... ოჰო, რა შეენიერათ აცურდა!.. ახლა ერთი ნიჩაბი  
 ვიშოვნო! ნავს აგერ მივბამ ამ ჩირგვზე,—აი ასე; შენც აქ მომი-  
 ცადე, ჩემო მურიკა, და მე ნიჩაბს ვიშოვნო... რამე თხელი ფიცარი  
 რომ მომცა, ნიჩაბს ადვილათ გავაკეთებ.—მარა სად ენახო ფიცა-  
 რი?.. ვაი სულო! აგერ ყავარი გღია,—ესეც შეენიერი ნიჩაბი... აწი  
 არაფერი მიჭირს... ისე მოვუსვამ, როგორც ჩვენი ნაცნობი ივანია.  
 მოდი, ნუ გეშინია, ჩემო მურია! ჩამოხტი!.. ჰოო. ასე! აბა, გავს-  
 წიოთ!

„იჰ! რა ჩქარათ მიცურავს ჩვენი ნავი!.. ღმერთო, რა ღრმაა



ეს მდინარე! რა წმინდა წყალია! ყოველიფერი მოჩანს შიგ... უპ აგერ რამხელა თევზია! ამსისხო თევზი ჩვენს წყალში არ მინახავს... ერთ ალაბზე მეტი ექნება სიგქე... სწორეთ იმ ღლაგისთანაა, მამა ჩემ- მა რომ ცოცხლათ მოიყენა ერთხელ შინ... როგორ ღონიერთ მოცურავს!.. ღმერთო, ჩვენკენ მოდის! ვაი თუ ჩვენს ნავს დაეტა- კოს და წყალში ჩაგყაროს!.. ვაიმე! ნავი, ნავი გადაბრუნდა!.. ვი- ხჩეები, მიშველეთ!..

„ოხ, ჩემო ძვირფასო მურია! რა ყოჩალი ხარ! ხომ დავიხჩე- ბოდი, შენ რომ არ ამოგეყვანე წყლიდან?.. ოხ, რა საძაგელი ყო- ფილა, რა ბოროტი ყოფილა ის თევზი! როგორ დაგვეტაკა, რო- გორ გადაგვიბრუნა ნავი!.. მადლობა ღმერთს, აწი არაფერი გვი- ქირს, წყლის ნაპირათ ვართ... ოხ, ჩემო ერთგულო, ჩემო საყვა- რელო მურიკა!..

„აბა, ნულარ ვიგვიანებთ, შეეუდგეთ ბარემ ამ მთას... ღმერთო რა მაღალია! ორჯერ უფრო მაღალია, სანამ ჩვენი მეზობელი მთა... წაიღეთ ჩემო მურია, წაიღეთ... ვიაროთ, ვიაროთ... ძალიან კი დავილაღე, სულ ოფლში გავიწურე... მოდი, შევისვენოთ ცოტა; მა- რა ვაი თუ დავევიანდეთ... ღმერთო დიდებულო! რა მაღალი მთა!.. კაი მაღალზე ამოვედით ასე მაღე, მარა ჯერ მთის წვერი არც კი მოჩანს... დაიცა, ჩემო მურიკა, ერთი ოფლი მოვიწურო... აი ახლა გაესწიოთ... ასე ჰო!.. ცოტა კიდევ ავიაროთ და მერე შევისვენოთ... აქეთ, მურა, აქეთ! სად მიდიხარ? არსად გადაუხვიო, სულ ამ გზა- ზე იარე, სულ ჩემთან იყავი... დაიცა, აი ამ ქვაზე ჩამოვჯდები ცო- ტა ხანს, თვარა მეტი აღარ შემიძლია, ნამეტანი დავილაღე.—გეს- მას—რა აჩქარებით მიძგერს გული! მე მესმის ჩემი გულის ცემა;— შენ არ გესმის?.. ოხ, ჩემო მეგობარო! გეტყობა, შენც დაილაღე; როგორ გამოგიყვია ენა და ქეშელობ!.. აჰა, ახლა კი შევისვენებ... შენ რაღაცა გინდა ვგონებ, მითხარ მურია რას მანიშნებ?.. ჰო, გა- ვიგე, მესმის—რასაც მანიშნებ: გინდა—ზურგზე შემიჯდინო და წა- მიყვანო?! შეგებრალე განა? შენც მატყობ, რომ ძალიან დავილა- ღე?.. შენ კი არ დალაღულხარ? არა?—მაშ კარგი, შენი ნება იყოს, წამიყვანე, ჩემო კეთილო მურიკა!..

„ვიშ, რა კარგი ცხენოსანი ვარ. ახლა კი გული დამიწყნარდა, ოფლშიც აღარ ვიწურები... ოხ, რა თავისუფლათ ამოვისუნთქე! ჩემო მურიკა, ჩემო საყვარელო! რა მეშველებოდა, შენ რომ არ წამომყოლოდი!..



„ღმერთო! ჯერ კიდევ ძალიან შორს არის მთის წვერი, — ეჭე, რა მალლა მოჩანს!.. სუ, ხედავ, მურია, მთის წვერის პირდაპირ რომ. რაღაც დიდი ფრინველი რირობს?.. რა უშველებელი ფრინველია!.. სუ არწივი უნდა იყოს. სწორეთ არწივია... სწორეთ იმისთანაა, მა-მაჩემმა რომ ამიწერა. არწივს თურმე შეუძლია — აიტაცოს კურდ-ღელი, კრავი, გოჭი და პაწია ბაღანაც.. მარა მე რის უნდა მეშინ-ნოდეს, მე ხომ დიდი ვარ, მე ვერ მზიდავს..

„სუ! ჩვენ გვიყურებს არწივი.., მურია, ხედავ, როგორ დაგე-ჩერებია! ხედავ, როგორ შეკუმშა ფრთები!.. ღმერთო ჩემო! წამო-ვიდა, ჩვენკენ მოფრინავს შურდულივით... რა მეშველებს!.. მიშვე-ლეთ!..

„ვაიმე! ცისკენ მიეყავარ... ამ საძაგელს. როგორ უცებ მომიტა-ცა, — თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი... რამხელა ფრთები ქო-ნია. რა ლამაზათ ეზაფარ! გადავარდნით კი არ გადავარდები, მა-გრათ მიკიღია ფრთებში ხელები, მარა სად მიეყავარ, ცაში რა მი-ნდა?.. აჰა, მთის წვერს დაუახლოვდით. რა კარგი იქნება ახლა რომ ჩამომსვამდეს ამ მთის წვერზე...

„ოჰო, ძირს ეშვება, პირდაპირ მთის წვეროსკენ მიეყავარ... ო, ჩემო არწივო, რა კეთილი ყოფილხარ!.. ჩამომსვი. დამტოვე აქ მოიცა, ერთი დაგიკოცნო ეს ფრთები.. რა ლამაზი ხარ, რა კეთი-ლი ხარ!.. მშვიდობით.

„ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია?! მე კიდევ მურას ზურგზე ეზი-ვარ!.. ჩემო მურია, არწივი რა იქნა? შენ ამომიყვანე აქ თუ არწი-ვმა?.. ეჭე, არწივი ისევ იქ რირობს მალლა...

„ესეც მთის წვერი, ჩემო მურიკა!.. აწი დიდი გზა აღარ და-გვრჩენია. დაიცა გადავიხედოთ ქვევით... უზ, რა დიდი მიწდარი მოჩანს! ეჭე, მიწდარის კიდეში მართლა ბალი.. ეგერ სახლიც!.. სწო-რეთ ყოველიფერი ისეა, როგორც მოხუცმა მითხრა. წავიდეთ, მუ-რია! აწი მალე ჩავალთ, დაღმართში აბა, გავსწიოთ!..

„მალე არ ჩამოვედით?!. აი ბალიც!.. ღმერთო, გმადლობ, რომ გულის წადილი ამისრულე... სიხარულით აღარ ვიცი, სად ვარ... დედაჩემს მალე ენახავ... როგორ ამიძგერდა გული! აღბათ სიხა-რულით, თვარა დაღალვას სრულიათაც არა ვგრძნობ... აი ეგერ სახლიც!.. ღმერთო ჩემო, რით დავიწყნარო ეს გულის ცემა?.. და-იცა, ჩემო საყვარელო მურიკა! აგერ წყაროა, ცოტა წყალს მოე-ნთქამ და პირზე შევიშხეფებ, ეგებ გული დავიწყნარო... მოდი, მო-



დი, შენც დალიე, უთუოთ მოგწყურდებოდა გზაში... აი ასე... ახლა კი გავსწიოთ!

„აჰა, მივედით! სულ ათი ნაბიჯი იქნება სახლამდი... რა შევნიერი ბალი ყოფილა! აგერ ყვავილები, ბალი, ვაშლი, მსხალი... ღმერთო, სად იყო ამდენი შევნიერი ხილი?! აგერ ყურძენიც! როგორ ლამაზათ კილია მწიფე მტევნები პატარა ხეებზე!.. მეც კი შევუწვდენ ხელს... ვაიმე, რა კარგია!.. მარა რა დროს ეს არის?! დედა?.. რა ქვია დედა ჩემს? რატომ მამაჩემს არა ვკითხე? ბერიკაცმა მითხრა ანეტა ქვიაო...“

„ანეტა! დედა, დედა ჩემო!.. შენ ხარ დედა ჩემი? მე ვარ თოთოლა, მე ვარ შენი თოთოლა, შენი საყვარელი შვილი... დედა ჩემო! რა ლამაზი ყოფილხარ, რა შევნიერი ყოფილხარ!.. მაკოცე, მაკოცე, კიდეე მაკოცე... შენი ჭირიმე დედა ჩემო!.. რომ იცოდე, რამდენი გზა გამოვიარე, რამდენი გაჭირვება ენახეთ მე და მურიკამ გზაში... დედა, საყვარელო დედა... მოდი, დაგიკოცნო ჩემი ძუძუები... ჩამიხუტე, ძალიან ჩამიხუტე, შენ გენაცვალე!.. აწი აღარ მოგშორდები, ჩემო საყვარელო... ჩემთან წაგიყვან... ხომ წამოხვალ?.. რა კითხვა უნდა რომ წამოხვალ! მე ხომ შენი თოთოლა ვარ!.. შენ ჩემი დედა ხარ ხომ? შენ ანეტა გქვია—განა?.. მამა ჩემი მეუბნებოდა, ცაშია დედა შენიაო!.. როგორ მატყუებდა! ცაში რა გინდოდა?! რა მადლობელი ვარ იმ ბერიკაცის, რომ მასწავლა შენი ბინა!.. ოხ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო სულიკო. ჩემო გულო, დედა!.. რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!.. დედა, დედა, ანეტა!..“

უკანასკნელი სიტყვები თოთოლამ მღელვარებით წამოიძახა ძილში ხმა მალლა. ანტონს მის გვერდით ეძინა შემკრთალი წამოვარდა, შვილი გააღვიძა და ჩაეკითხა:

— რა გაშფოთებს, შვილო, რა ამბავია? სიზმარში ხომ არ იყავი?

თოთოლამ თვალემა გააჭყიტა, ერთის წამით გაბრუებული იყო — და უცებ შორთო ტირილი, მდულარებით ცრემლების ღერა. დიდხანს ვერ დააჩუმა ანტონმა თოთოლა, და როცა დაწყნარდა ბავში უამბო, რაც ნახა სიზმარში, ანტონმა მწუხარებით ჩაკიდა თავი და მთელ დღეს არ გაუცინია.

დიდხანს არ გაუვლია, რომ ანეტა მართლა თოთოლას დედა გახდა, რადგან ანტონმა შეირთო ის ცოლათ და ამ ბავშს ნამდვილ დედობას უწევდა.



## 'ბაყარა ანნა და მთვარე



აფხულის ღამემ, სოფლათ ერს  
 მოკვვარა ტკბილი ძილია,  
 დაწყნარდენ არვინ არ ფხიზლობს  
 ჭაბუკი, არცა ჩვილია.

ძინავთ და ძინავთ ღრმა ძილით  
 ქვეყნადა დიდს და მცირესა  
 და მთვარეც გაბრწყინებული  
 დაკუთრებს ხალხს მძინარესა.

მაგრამ ბაღღების ოთახში  
 არ ძინავს მალხაზ ანნასა,  
 ფანჯრიდან ხედავს, რომ მთვარე  
 კვატონობს მთელ ქვეყანასა.

მუხლ მოდრეკილი ლოგინზე  
 ლოცულობს: „ჩვენო მთვარეო,  
 რაც გთხოვო ნურას მომაკლებ,  
 და მითი გამახარეო.“

„გთხოვ, შენ მიცოცხლე დედ-მამა,  
 ტოლ ამხანაგი, დაცაო,  
 ძმები, დედიდა, ყველაყა,  
 ძალყა, მამიდაცაო.“



„დიდი — დედა და ბებია,  
ძია და ბერი პაპაო,  
რომ მე მიყიდოს წითელი  
სახლდგდმოთა კაბაო“.

ამ სიტყვებს მთვარე ზევიდან  
ისმენდა წყნარათ, ტკბილათა  
და ანგელოზი მოგზავნა  
მცნებისა გასამხილათა.

ანგელოზმაცა სისწრაფით  
გადმოვლო ქალაქ დაბები,  
ბაღლისა საწოლ ოთახის  
წყნარათ შეალო კარები.

ჯერ მიცა ტკბილათ სალაში:  
— ოჰ, გამარჯობა შენიო  
და მემრე უთხრა, — ისმინა  
მთვარემ ვედრება შენიო;

„მხოლოთ კი მისსა მცნებასა  
უნდა მიაპყრო ყურით,  
რომ ფუფალოსა წყალობით  
არ გაკლდეს სიხარულიო;

„უნდა გიყვარდეს დედ-მამა,  
არ აჯავრებდე არავის,  
იყავ ტოლ-მოძმის ერთგული,  
პატივისმცემი გლახაკის.

„სწავლა არ გეზარებოდეს,  
იგი ყველაზე კარგია,  
ის გაგახარებს დაგატკბობს  
ვით ვარდსა დილის ნამია.



## ტანისამოსი კაცს ხარისხს ვერ მოუმატებს

(ფრანგულიდან)



ალაქს ალექსანდრიაში ერთ თერძთან მუშაობდა ყმაწვილი კაცი, რომელსაც სახელათ ერქვა ლაბაკანი. ამ ყოჩაღ ყმაწვილზე ცუდს ვერაფერ იტყოდა: არ იყო ზარმაცი, ნემსს მარჯვეთ ხმარობდა და პირიანი ახალგაზდაც იყო! ძალიან მუყაითათ მუშაობდა და დუქნიდან ფენს არ იცვლიდა. მაგრამ ხასიათი ხიბრეული ჰქონდა და ამხანაგები ეჭვის თვლით უყურებდნენ. ზოგჯერ რამდენიმე საათის განმავლობაში მისი პირი არ დადგებოდა, ისეთი აღტაცებით და გულმხურვალეთ ლაპარაკობდა, რომ მის ხელში, თითქოს, ნემსი ხურდებოდა და ძაფს ცეცხლი ეკიდებოდა.

ხშირათ ისიც მოხდებოდა, რომ თვალები ჭერში დარჩებოდა, ენა ჩაუვარდებოდა, და დიდი ხნობით უძრავათ იჯდა. მაშინ მის სახეზე რაღაც უცნაური გამომეტყველობა აღიბეჭდებოდა. ვერც მის ოსტატს და ვერც ამხანაგებს ვერა გაეგოთრა და იტყოდნენ ხოლმე ლაბაკანი ოცნებამ გაიტაცა, ახლა თავი ხელმწიფე ჰგონიაო.



ერთ პარასკევ დღეს, როდესაც მკერვლები დაბრუნდნენ მეჩეთიდან და მოუსხდნენ თავიანთ საკერავს, ლაბაკანი დიდი ყაირათობით ნაშოენი ტანისამოსით მორთული წავიდა სასეირნოთ, ამპარტენულათ აუარ-ჩაუარა ქალაქის ქუჩებს. როდესაც ამხანაგები გაუვლიდნენ გვერდით და მიძახოდნენ: გაუმარჯოს ჩვენ მეგობარ კაცს, ღმერთი იყოს მისი მფარველი!.. ამაზე ჩვენი თერძი ოდნაოთ თავს დაუკრავდა და განავრძობდა გზას. ოსტატი ხშირათ დაცინვით ეტყოდა ხოლმე: „შენ ისეთი ნაღვლიანი სახე გაქვს, ლაბაკანო, თითქოს ხელმწიფის შეილობა ჩამოგართვესო“.

ეს სიტყვები ძალიან სასიამოვნოთ დაურჩებოდა და სწრაფათ მიუგებდა: „თქვენც შემიტყუეთ განა ჩემი დარდი? მერე დაბალი ხმით დაუმატებდა: დიდი ხანია ექვი გულს მიქენჯნისო“.

საბრალო ახალგაზდას თანდათან ოცნებები იტაცებდნენ, ოსტატი აქამდის ათასჯერ დაითხოვდა, რომ კაი მკერვალი არა ყოფილიყო.

ამ დროს ალექსანდრიაში გავლით იყო სულთანის ძმა, სელიმი, რომელსაც უნდოდა თავისი ოქრომკედლი მოქარგული კაბა გავგანიერებინა და გაგზავნა ლაბაკანის ოსტატთან გასაკეთებლათ. ამანაც ეს საქმე ჩააბარა ლაბაკანს, როგორც თავის საუკეთესო მკერვალსა.

სალამოს ქამს დაღალული მკერვლები წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ ბინაზე, მხოლოთ ლაბაკანი რაღაც ძალამ მიჯაჭვა იმ ოთახს, სადაც ეკიდა სულთანის ძმის კაბა, დაფიქრებული დაცქეროდა ამ ტანისამოსს, თვალები აუბჭყყვრივდა, ოქრომკედს, ხავერდს და აბრეშუმს რომ შეცქეროდა.

— ერთი რომ გავიშინჯო, ვითომ მაგითი რა დაუშავდება კაბას?.. თქვა და აასრულა კიდევ.

გასაკვირველი ის იყო, რომ კაბა ისე შეენიერათ დაადგა, თითქოს ამის ტანზე შეუყვარათო.

მორთულ ლაბაკანმა დაიწყო წინ და უკან სიარული, ხმა მალდა ლაპარაკი, ხელების შლა და თავი მოჰქონდა თითქოს დიდი —კაციო.

— ვითომ რა არის ხელმწიფის შეილობა?—ამბობდა ახალგაზდა მკერვალი, თან სარკეში იყურებოდა.—მხოლოთ თავიანთი მდიდრული ტანისამოსით განიჩივნიან სხვებისაგან. სხვა არაფრითა, აბა,



სულთანს, ან ჩვენ მოღებს ჩავაცვათ უბრალო ტანისამოსი, ვითომ რითი იქნებოდა ჩვენზე უკეთესნი. ემირებს რითი ვცნობულობთ?— იმითი რომ თავზე მწვანე ფარჩა აქეთ მოხვეული. ერთი სიტყვით რაც ყოფილა—ყველაფერი ტანსამოსი ყოფილა. თუ მე ამ ოქრომკედლით მოქარგულ კაბას ჩავიცვამ სულთანის ძმას არაფრით არ ჩამოურჩები. იქნება ჩემი დიდებული დედ-მამაც, რომლებსაც დავეძებ ვიპოვო. მ.გრამ ყველაზე უწინ ამ ჯანაბა ქალაქს თავი უნდა მივაშორო, აქ ყველანი მიცნობენ და არ დაიჯერებენ რაც უნდა დიდი კაცის შვილი გამოვდგე.

აღვლევებულ ლაბაკანს რა სისულელე გინდათ, რომ არ მოდიოდა თავში. ბოლოს დაადგა იმ აზრს, რომ თვით ალლახმა გამოუგზავნა ძვირფასი ტანისამოსი, რომ ამით ისარგებლოს—გაუდგეს გზას და მოძებნოს თავის მამის სახელმწიფო. საჩქაროთ მოაგროვა რაც რამ ებადა და გაჰკურცხლა. ბინდი იყო; ქალაქიდან ისე გავიდა, ამ მოქარგულის ტანისამოსით, რომ ვერავინ შენიშნა.



ყველა, ვინც კი შეხედებოდა გზაზე, გაკვირვებით უყურებდა ამ ფეხით მოგზაურ მორთულ კაცს და დაცინოდნენ, ისე, რომ ლაბაკანი იძულებული იყო ერთი ბებერი ცხენი ეყიდნა და იმითი ემგზავრნა.

ერთხელ, როდესაც მისი ცხენი ძლივ-ძლიობით მიჩანჩალებდა, შეხვდა ერთი მხედარი, რომელმაც თხოვა, ერთათ ვიმოგზაუ-





როთო, აღარ მოვიწყენთო. ეს მხედარი წამოსადეგი შეხედულობის და მხიარული ახლგაზდა იყო, შავი თვალებიანი და ამპარტავანი. ამას რომ ძვირფასი ტანისამოსი ცოდა ლაბაკანი თავის ტოლათ ჩათვლიდა, ახლა კი დიდი ყურადღება არ მიაქცია. ლაპარაკს მანც შეეებენ. ერთმანეთთან სულ ცოტა ხანს დაჰყევს, მაგრამ ამ ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც ერქვა ომარი, თავისი ყველა ვითარება უამბო კიდევ ლაბაკანს. სამაგიეროთ ამან არაფერი უთხრა, მხოლოთ გაკვრით შეატყობინა, რომ დიდი კაცის ჩამომავალია და დროს გასატარებლათ მოგზაურობს.

ომარს თუმცა ღარიბი ტანისამოსი ეცვა, მაგრამ თურმე ხელმწიფის შვილი ყოფილიყო.

— ჩემი ყმაწვილობა, — ასე მოუთხრობდა ომარი — ფაშა ელფიბეის სახლში გავატარე, მეგონა, რომ მისი ძმისწული ვარ, მერე შევიტყე რომ მამაჩემი გამოჩენილი ხონთქარი არი და დავიბადე თუ არა, იძულებული იყო ოცდა-ორ წლამდის მოვეშორებინე, რადგან ვარსკვლავთ მრიცხველები მიქაღდენ სიკედელს. ოთხ დღეს შემდეგ შევსრულდები ოცდა ორი წლისა და ამ დღეს უსათუოთ უნდა ვიყო ალექსანდრიის იქით ოთხი დღის სავალზე ელსირუას სვეტთან. იქ დამიხვდებიან ხონთქრის გამოგზავნილი კაცები, რომელთაც უნდა ეუჩვენო ფაშის მოცემული, აი, ეს ხანჯალი და ეუთხრა შემდეგი: „მე ისა ვარ, ვისაც ელით.“ ამაზე ისინი მიპასუხებენ: ვადიდოთ ალლაჰი, რომელმაც დაგიფარა.

მერე მე უნდა იმათ გაეყვე. მამაჩემთან მიმიყვანენ. ჩვენი მკერძალი ყურებ გაცქვეტილი უსმენდა. ამას დიდი ხანია თავში მოუდიოდა უცნაურათ ხელმწიფის შვილათ გადაქცევა; ახლა თვით შემთხვევა ხელში ეძლეოდა: „რით არის ომარზე ნაკლები, რატომ ეს არ უნდა იყოს ხონთქრის შვილი და არა ის, რომელსაც არც კი შეშვენის ხელმწიფის შვილობა.

ლაბაკანმა შურის თვალით დაუწყო ომარს ყურება: „ეს ხომ ფაშას ძმისწულია, კიდევ ხელმწიფის შვილობაც უნდა.

მთელი ღამე აღარ დაეძინა, სხვა-და-სხვა უცნაური აზრები ერეოდა თავში, და, ვინ იცის, რა არ ელანდებოდა. დილით ლაბაკანმა გადახვდა მძინარე ომარს და თავში საძაგელმა აზრმა გაურბინა. ახლა მოულოდნელათ ხონთქრის შვილს რომ აუტყდეს რამე და ამან დაიჭიროს იმის ალაგი, ვითომ ვინ იქნება დამშლელი?

ომარს ისევ ისე ეძინა; ფაშის მოცემული ხანჯალი, რომლი-



თაც იმას იცნობდენ ხონთქრის შვილათ, სარტყელში ერქო. ხანჯლის ტარის ძვირფასი თვლები თვალს იტაცებდა, ლაბაკანი მიუახლოვდა, უნდოდა მისი ცქერით დამტკბარიყო... მერე გაუწვდინა ხელი და მოხსნა ხანჯალი. ზედ ეწერა: თუ ღეთის ნებაც იქნება... ეს რა კაი სიტყვებია, თქვა ლაბაკანმა ჩუმი ხმით და დააცქერდა მძინარეს. — მართლა „თუ ღეთის ნება იქნება“ — გაიღვიძებს, — თუ არა და მე გაეხდები ომარი.

მოიღერა ხანჯალი და უნდა დაერთყა... მაგრამ თვალ წინ წაზმოუდგა ბრძოლა, სისხლი — და შედგა. გული აუტოკდა.

რა საჭირო იყო კაცის მოკვლა, როდესაც ქურდობით აისრულა თავისი წადილი და ხანჯალი ხელში ეჭირა. ან ომარს ვინღა დაუჯერებდა, როდესაც ამას ხელში ექნებოდა ამისთანა საბუთი.

ლაბაკანმა გამოიტანა ძვირფასი ხანჯალი, შეჯდა ომარის მკვირცხლ ცხენზე და გაუტია თავის გზას. როდესაც ომარმა გამოიღვიძა, იმას კარგა ძალი გზა გაეცლო.

ლაბაკანი დანაშნულ დროზე უმალ მივიდოდა ქელი-სირუას, სვეტთან, მაგრამ მინც ჩქარობდა, ეშინოდა ომარი არ მომეწიოსო. მეორე დღეს ჯერ მზე არ იყო ჩასული, რომ ლაბაკანმა შორიდან დაინახა მალალ კორდზე ამართული სვეტი, აღელვდა, გულმა დაუწყუო ფეტქა, თვალწინ წარმოუდგა, როგორ უნდა გამოცხადებოდა ხონთქრის შვილათ. ამასთანავე სინიდისი მოსვენებას არ აძლევდა, გული ქენჯნიდა, მხოლოდ იმითა იმართლებდა თავს, რომ ბედმა დაჩაგრა, თორემ ხელმწიფის შვილათ დაიბადებოდა.

იმ უღაბნო არე-მარეზე ძნელი იყო დროებით თავ-შესაფარის პოვნა. კიდევ კარგი, რომ ლაბაკანს საზრდო აღრევე ნაშოენი ჰქონდა და ერთ ფინიკის ხეს ქვეშ დაბინავდა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს ლაბაკანმა შორიდან დაინახა როგორ მიუახლოვდენ მალალს კორდს, სადაც სვეტი იდგა, ბევრი ცხენოსნები და დატვირთული აქლემები, იმათ მაშინვე შევნიერი კარვები დაცეს, ზედვე ეტყობოდა, რომ ვიღაც დიდი კაცი მოსულიყო თავისი აჰალით. ლაბაკანი ახლა კი დამშვიდდა; თავი კიდევ მიაჩნდა ხონთქრის შვილათ, რადგან ორი სამი საათის შემდეგ ნატერა აუსრულდებოდა.

ირაქ-რაქა თუ არა, ლაბაკანი ფეხზე წამოდგა, თუმცა საჩქარო არა ჰქონდარა — დღევანდელი დღე მისთვის მეტათ შესანიშნავი იყო, უბრალო თერაი უნდა ხონთქრის შვილათ გადაქცეულიყო. გაჩ-



ქარებით დაუწყო ცხენს კაზმა და თან ფიქრობდა: იქნება ცუდი სა-  
ციელი ჩავიდინე და ვინ იცის, ვინც გავცარცვე, რა უიმედო მდგო-  
მარეობაში ჩავადე? მაგრამ თან თავსაც იმართლებდა, რაც მოხდა,  
აგრე უნდა მომხდარიყო. განა დიდკაცათ დაბადებული არ იყო?  
მგონი, არც ერთ ხელმწიფეს ეს არ შეარცხვენდა თავისი  
შვილობით და თვით ოძარის მამა არას დაჰკარგავდა, რომ ეს შვი-  
ლათ ეცნო. ლაბაკანმა ღონე მოიკრიფა, ცხენზე შეჯდა და გააჭენა.  
სულ თუთხმეტ წამს არ გაუვლია, რომ მივიდა სვეტთან. ჩამოხტა,  
ცხენი ბუჩქზე მიაბა, სარტყლიდან ხანჯალი ამოიღო, მალლა კორ-  
ღზე აიბინა და წარუდგა ერთ მოხუცებულს, რომელსაც მოწიწე-  
ბით, გარს ეხვეოდა ექვსიოდე კაცი. ეს მოხუცებული კარგი ახო-  
ვანი კაცი იყო და ხელმწიფური შეხედულობა ჰქონდა. ტანისამო-  
სი დიბისა ეცვა, თეთრი ქირმანის შალის სარტყელი ერთყა და თა-  
ვის ძვირფასი ქვებით მორთული ტურბანი ეხურა. ეტყობოდა,  
რომ მდიდარი და ძლიერი ვინმე იყო.

— მე ისა ვარ, ვისაც ეძებთ, თქვა ლაბაკანმა მძიმე თავის და-  
კერათ და მიართვა მოხუცებულს ხანჯალი.

— ვადიდოთ ჩვენი წინასწარმეტყველო, რომელმაც დაკეთრა  
სიკვდილისაჲ.— უპასუხა მოხუცმა და თვალები ავესო ცრემ-  
ლებით.

— გადაეხვე შენ მოხუცებულ მამას, ძვირფასო შვილო,  
ომაოა!

ამ გეარ მამობრიულ შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახ-  
დინა თამამ მკერვალზე, რომელიც გადაეხვია ვითომ და მამას.  
ადღეღებული ლაბაკანი ბედს არ ემდურა, მაგრამ სინიდისი გულს  
უწიწნიდა.

ხანგრძლივი არ იყო მისი ბედნიერება; ლაბაკანი განთავისუ-  
ფლდა თუ არა მოხუცებულის ხვეწნა-კოცნისაგან, დინახა, რომ  
შორს მოაჭენებდა ცხენს ვიღაც მხედარი, რომელიც დაჟინებით  
ცემდა ცხენს უზანგებს და თანაც ხელებს ახმარდა. ლაბაკანმა ადგი-  
ლათ იცნო თავისი ცხენი. ცხენოსანიც უსათუოთ ოძარი უნდა ყო-  
შილიყო ხონთქრისშვილისიტრუეს ისე შეეჩვია და ისე შეეთვისა,  
რომ საბრძოლათაც გაემზადა, თუნდ ეს ბრძოლა ძვირათაც დაჯდო-  
მოდა.

ცხენოსანმა დაინახა თუ არა შორიდან ხალხის ჯგუფი, მოჰყვა



ხელების ქნევას, ბოლოს მიუახლოვდა თუ არა სვეტს, სწრაფათ ჩამოხტა და უცბათ გაჩნდა მალლა.

— მოიცადეთ, მოიცადეთ, ვინა ხართ აქ, ნუ მოტყუვდებით მაგ საძაგლის სიტყვით. მე ვარ ომარი და ვინც იჩემებს ჩემს სახელს მატყუარა—მეტეჩარა.

ყველას სახეზე განცვიფრება გამოეხატა, მაგრამ კიდევ უფრო მეტათ გაუკვირდა მოხუცებულს, რომელიც ხან ერთს შეცქეროდა და ხან მეორეს.

ლაბაკანმა შეუპოვრათ დაიწყო ლაპარაკი.

— მოწყალეო ხელმწიფეე, მამა ჩემო! ამ კაცის შესახებ არ შეცდეთ და ეჭვი არ აიღოთ. მგონი, ეს არის ერთი საწყალი მკერვალი, ქალაქ ალექსანდრიაში მცხოვრებელი, თავის ჭკუაზე არ არის და უფრო შესაბრალისია, ვიდრე გასაკიცხი.

ამ სიტყვებმა ისე გაააფთრეს ომარი, რომ სხვები არ მიშველდებოდნენ შუაზე გაწიწკნიდა ამ მატყუარას.

— მართლა, გიჟი ყოფილა ეს კაცი, საყვარელო შეილო, თქვა ხონთქარმაც—წაიყვანეთ აქედან და დააბით სვეტზე. მერე მოფიტიკრებთ რა უნდა ვუყოთ.

როდესაც ჩვენი ხონთქრის შეილი მიხვდა, რომ ცუდს არას შეამთხვევდნენ, გული დაიმშვიდა, თავი მოიკატუნა და დაიწყო ტირილი.

— ვგრძნობ, რომ თქვენ ბრძანდებით მამა ჩემი და პატიოსანი დედიჩემის სახელით გვედრებით მომისმინეთ—უთხრა ხონთქარს.

— საწყალი ყმაწვილი, როგორი გულჩვილი ყოფილა, გააწყვეტინა სიტყვა ხონთქარმა!—განა შესაძლოა ვაჟკაცი აგრეთი გულჩვილი იყოს.

ხონთქარმა მოჰკიდა ლაბაკანს ხელი და მის კლავზე დაყრდნობით ჩამოვიდა კორდიდან. მერე შეაკაზმინა შეენიერი ცხენები და მთელი ამალით გაუდგა გზას.

შეკოჭილი საბრალო ომარი დატოვეს მინდორში, ორი კაცი მიუყენეს მცველათ, ხონთქარმა გზაზე უამბო ლაბაკანს, რომ დიდხანს უშვილო ვიყავიო. მერე როდესაც ვაჟიშვილი მომეცა, მოგვებმა უწინასწარმეტყველეს, ოცდა ორ წლამდის მოკედებაო, თუ შენთან იყოლიეო. ამიტომ ვარჩიე, ოღონდ კი შემრჩენოდა შეილი და თუნდ ოცდა-ორ წლამდის არ მენახა და მისი სიყვარული გუ-



ლში მომეკლოა. ხონთქარს მოწონდა, რომ შეილი ახოვანი ტანი-  
სა იყო და კაი სანახავი.

ხალხმა რაკი შეიტყო, რომ ხონთქარი მობრძანდება თავისი  
შვილით, დიდის ამბით დაუხვდა, გზები მოფინა მწვანე ფოთლე-  
ბით, ყველგან ყვავილების გვირგვინები გააკეთა და ხალხის აღტაცებას  
ბოლო არ ჰქონდა. ღმერთს და მამამად აღიდებდნენ. ლაბაკანის  
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საბრალო ომარი დაბმული გულ-  
ზე სკდებოდა, მეტადრე როცა ესმოდა რომ იმაზე ლაპარაკობდნენ:  
„უბედური მკერვალი, როგორი გიჟია!“

ხონთქარი მიბძანდა თავის სატახტო ქალაქში. აქ კიდევ უფრო დი-  
დი სამზადისი იყო მათ მისაღებათ. ხონთქარის პატივცემული მეუღლე  
დიდის ამბით ემზადებოდა დასახვედრათ. მთელი დარბაზი ხალაჩე-  
ბით მორთეს, კედელი ოქრომკედ მოვლებული ცისფერი ფარჩით  
იყო შემკული. ბინდებოდა. დიდრონი ხომლები, ვერცხლის ლუ-  
რსმებით მიმაგრებული ჭერზე დაანთეს და დღესავით განათდა. მე-  
ტათ ყურადღების ღირსი იყო დარბაზის ის კუთხე, სადაც იდგა  
ოქროს ტახტი, ძვირფასი თვლებით შემკული. იქ ასასვლელათ ოთ-  
ხი საუფხური ჰქონდა. ტახტას ზემოდან წითელი ფარჩის საკრილო-  
ბელი ოთხ კარის კაცს ეჭირა. ტახტზე იჯდა ხონთქარს ცოლი.  
კარის კაცნი ფარშავანგის ფრთების დიდი მარაოთი აგრილებდნენ.

ომარის დედა მეტათ აღელვებული იყო, მოუთმენლათ ელო-  
და თავის პირმშო შეილს, რომელსაც თუმცა მხოლოთ სიზმარში  
და ოცნებებში ხედავდა, მაგრამ ათასში იცნობდა. ბოლოს მოისმა  
ბუკ-ნალარის ხმა, ცხენების თქარა-თქური და გამოჩნდა ხონ-  
თქარი.

მას მოჰყავდა ხელდაჭერილი შეილი პირდაპირ ცოლთან.

— აი, მოგვეარე ის, ვისაც შენი გული დიდი ხანია ელოდე-  
ბოდა. — უთხრა მოხუცებულმა აკანკალებული ხმით.

— არა, ეგ ჩემი შეილი არ არის, წამოიძახა აღელვებულმა  
ხონთქარის ცოლმა. — სახე სრულებით არ მიუგავს იმას, ვისაც ამო-  
დენა ხანია ევლი!

ის იყო, ხონთქარს უნდა დაერწმუნებინა რომ ცდება, ამდროს  
უეცრათ შემოვიარდა ომარი. უკან მოდევდნ დაჩაჯები. ომარი და-  
ეცა ტახტის წინ და წამოიძახა:

— არ შემოძლია, მე ვეღარ ავიტან ამდენ დამცირებას. გეუი-



ცებით, დამიგდეთ ყურბა... თუ არა და მე უნდა აქ მოვკვდე; მომკალ რალა შენი ხელით, უწყალო მამავ!

ამ სიტყვებმა ჯერ ყველა გააოცა, მაგრამ მალე გონება მოიკრიფეს, სტაცეს ხელი ომარს და შებოჭეს, თუმცა დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ის იყო ძალით უნდა გაეყვანათ დარბაზიდან, რომ ხონთქრის ცოლი საჩქაროთ წამოდგა და შეჰყვირა:

— შედეგით, ნუ ახლებთ მაგას ხელს, ეგ არის ჩემი შვილი! მაგისკენ მიწვეს მე გული, მაგას დაეძებდი.

კარის მცველნი ერთს წამს შეჩერდნენ, მაგრამ ხონთქარმა გაჯავრებით უბძანა:

— გაიყვანეთ ახლაც ეგ უბედური კაცი.

სიბრაზით თავი ველარ შეეკავებინა, რომ მის სასახლეში ამგვარი ამბები ხდებოდა.

— მარტო მე ვარ აქ მბრძანებელი და მხოლოდ ჩემი ბრძანება უნდა ასრულდეს და არა დელაკაცასა, რომელიც საზმრებით სჯის საქმეებს. აი, ჩემი შვილი. ხონთქარმა უჩვენა ლაბაკანზე, — მე ეს ვიცანი მაშინ, როდესაც მომცა ხანჯალი და მიტხრა: ის სიტყვები, რომელიც უნდა ეთქვა პირობასამებრ.

— ხანჯალი მაკან მომპარა. — წამოიძახა ომარმა — და თუ გითხრა ის სიტყვები, რაც უნდა ეთქვა, ეგ იმიტომ, რომ მე ჩემი გულწრფელობით ვენდე მაგას და ეუთხარა.

ხონთქარმა აღარ დაუგდო ყური, ანიშნა კარის მცველებს და იმათაც მაშინვე ძალით გაიყვანეს ომარი.

ხონთქრის ცოლი ძალიან შეწუხდა. აშკარათ ხედავდა, რომ ვანმე გაიძვერა ატყუებდა ამის ქმარს და ის უბედური ყმაწვილი ნამდვილი მისი შვილი იყო. როდესაც აღელვებამ გადატარა და ცოტათი დამშვიდდა, — მოჰყვა ფიქრს, თუ როგორ აუხილოს თვალები ქმარს. ხონთქრის დაჯვრება ძნელი იყო, რადგან იმას მოუტანეს სწორეთ ის ხანჯალი, რომელიც იმან ფაშას მისცა და ის სიტყვები უთხრეს, რომელიც ამას გარდა მხოლოდ ფაშამ იცოდა.

ხონთქრის ცოლი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა გამოერკვია ეს საქმე. დაწვრილებით გამოკითხა მხლებელებს, რომელიც ხონთქარს თან ახლდნენ, მერე რჩევა იჭონია თავის ერთგულ ქალებთან და მათგანმა ერთმა უთხრა: დიდებულო ქალბატონო, თუ არა ვცდე-



ბი, ეინც წარუდგინა ხონთქარს ხანჯალი, იმან თქვა: ის კაცი, რომელიც ხონთქარის შვილობას იჩემებს, არის უბრალო მკერვალი.

— მართალია. მერე?

— იქნება მაგ გაიძვერამ თავისი ხელობა თქვენს შვილს მიაწერა და ამის გამოსააშკარებლათ მე ვიცი ერთი საშუალება, საიდუმლოთ გეტყვი.

და ხონთქარის ცოლს რაღაც უჩურობოდა ყურში. ამაზე მის სახეს საამოვნება დაეტყო.

ხონთქარის ცოლი ჭკვიანი ქალი იყო და იცოდა, როგორ მოემხრო თავისკენ ქმარი; როდესაც იმან საყვედურო გამოუცხადა, რომ რატომ ის ყმაწვილი არ იცნო შვილათ. ცოლმა უთხრა:

„ერთ პირობას დავდებ, თუ ამისრულებთ, მე იმას შვილათ იცნობ“.

— რა პირობაა? ჰკითხა ხონთქარმა.

— აი რა პირობაა. ორივე მექიშპეებმა მიჩვენონ თავიანთი ხერხი. მართალია, იქნება სხვა დედებს მოეთხოვნათ, რომ შვილდისრის ნიშანში სწოლით თავიანთი ხელმარლობა ეჩვენებინათ, მაგრამ მე სხვანაირათ მინდა მათი გამოცდა. დეე, ორივემ სათითაოთ შეკერონ თითო წყვილი ტანისამოსი. ენახოთ, რომელი უფრო სიმარჯვეს და ხელოვნებას გამოიჩინს. ხონთქარმა გაიცინა.

— მართლა რომ უცნაურ წინადადებას გვაძლევ. როგორ გინდა, რომ ჩემმა შვილმა მაგ გიყზე უკეთესათ შეკეროს. განა არ იცი, რომ შეუძლებელ რამეს ითხოვ?

ხონთქარის ცოლი თავის სიტყვაზე იდგა და რადგან ხონთქარმა მიცა პატიოსანი სიტყვა, საქმეს აღარა ეშველებოდა.

იმის ფიქრით გიჟი, რასაკვირველია, უფრო კაგათ შეკერავდა, მაგრამ მემკვიდრეთ მაინც იმას ვერ გაიხდიდა. ლაბაკანს თვითონე გამოუცხადა თავის ცოლის ახირებული დაქინება, ამ ყმაწვილს ეჭაშნიკა ეს წინადადება, რადგან თავისი იმედი ჰქონდა.

ორივე ყმაწვილები ცალ-ცალკე ჩაკეტეს სხვა-და-სხვა ოთახში და მიცეს მხოლოთ საკრავი მასალა.

ხონთქარი ცნობის მოყვარეობით ელოდა თავის შვილის შეკერილს ტანისამოსს. მისი ცოლიც აღელვებული იყო და არ იცო-



და გამოცდა რითი გათავდებოდა. ვადა ორი დღე იყო, მესამე დღეს ხონთქარმა დიდის ამბით მოიხმო ორივენი, ლაბაკანი წარუ-  
დგა თამამათ და თქვა:



— ნახეთ ჩემი შეკერილი, მამა ჩემო! დახედეთ თქვენც, დედა-  
ჩემო, თუ კარგათ არ იყოს შეკერილი? არა მგონია, რომ ასე ხე-  
ლოვნურათ შეკეროს ვინმემ თქვენ სასახლეში.

ხონთქარის ცოლმა კმაყოფილებით გაიღიმა. მერე მიუბრუნდა  
ომარს და უთხრა:

— შენ, ჩემო შეილო?

ომარმა დააწეთა ძირს მაკრატელიც და ტანისამოსის შესაკე-  
რი მასალაც და წაშობდა:

— მე ცხენზე ვარჯიშობა და ისრის მარჯვეთ სროლა მასწავ-  
ლეს და არა ნემსის ჩხელეტა. ჩემი ხელობა ის არის, რომ რაც  
შეიძლება შორს გავაგდო ისარი. ეჭვკაცობით განთქმულს თაშის  
გაზრდილს შეილოს, როგორ ეკადრება ხელში ნემსის დაჭერა.



— შეილო, მოდა ჩამეკარ გულში—თქვა სიხარულით აღელ-  
 ვებულმა ხონთქრის ცოლმა—მაპატიე, ჩემო ბატონო, ჩემო  
 მფლობელო, მიუბრუნდა და უთხრა ქმარს:—ვიცი მაპატიებ ი ამის-  
 თანა შეცდომაში რომ შევიყენეთ, ახლაც ეჭვში ხართ, რომელია  
 ხონთქრის შეილი და რომელი მკერვალი? მგონი ტანისამოსი შეე-  
 ნიერთათ არის შეკერილი და რომ ვიცოდე, ვისკან ისწავლა თქვენმა  
 შეილმა აგრე ხელოვნურათ კერვა, შეუთელიდი დიდ მადლობას.

ხონთქარი სმას არ იღებდა; გაჯავრებული ხან ცოლს გადახე-  
 დავდა, რომელსაც სიხარულით სახე უბრწყინავდა და ხან ლაბაკანს.  
 ის შერცხვენილი და ამოწითლებული იდგა. სიბრაზით არ იცოდა  
 რა ექნა, რომ ასე ადვილათ გაეზა საფანგში,

-- ამ გამოცდამ მე მაინც არ დამარწმუნა,—თქვა ბოლოს  
 ხონთქარმა.—აღლახის შემწობით სხვა საშუალებით შევიტყონ



დამართლეს.

მაშინვე შეაკაზმინა თავისი საუკეთესო ცხენი და ქენებით გა



სწია ტყეში, რომელიც ქალაქთან ახლოს მდებარებდა. ამ ტყეში ბინადრობდა ერთი გულთმისანი, რომელიც ყოველთვის ხონთქრის ოჯახის მფარველი იყო. ახლაც იმასთან მივიდა.

შუა ტყეში, სადაც ათასი წლის დიდრონი ხეები იდგა ხონთქარი ჩამოხტა ცხენიდან და ხმა მალლა დაიყვირა:

— თუ მართლა შენ ყოველთვის მფარველი ყოფილხარ ჩვენი მამა-პაპებისა და გაჭირებიდან გამოგიყვანია, მაშ ახლაც გადმომხედვე მოწყალე თვალთ, მიშველე, რადგან ჩემი ტკუით ვერა გავაწყვრა.

ჯერ არ გაეთაყვებინა ეს სიტყვები, რომ ხე გაირღვა და გამოჩნდა თეთრებში გახვეული ქალი.

— ვიცი, ხონთქარო, რამაც მოგიყვანა ჩემთან. რადგან მართალი აღამიანი ხარ; მე შენ წყალობას არ მოგაკლებ. დაიჭი ეს ორი კოლოფი და მიეცი იმ ორ ყმაწვილს, ამოირჩიონ; რომელიც უნდოდესთ. ამორჩევის შედეგი ვიცი კეთილი იქნება.

და გულთმისანმა მიცა სარდაფის შეწვიერი ორი კოლოფი სულ ოქროთი და მარგალიტით შეჭედილი, ზედ ბრილიანტების ზედწარწერა ჰქონდა. ხონთქარს უნდოდა მასი გაღება და ვერ გააღო.

შინ დაბრუნების დროს, გზაზე, სულ იმ ფიქრში იყო, თუ ისეთი რა იქნება ამ საიდუმლო კოლოფში. ვერც ზედ წარწერამ რამე აუხსნა; ერთზე ეწერა: „სიმდიდრე და ბედნიერება“ მეორეზე: „სახელის მოხვეჭა და პატიოსნება“.

ხონთქარი დაბრუნდა თუ არა სასახლეში, ყველაფერი უამბო ცოლს, იმასაც გაეხარდა, რადგან იცოდა, რომ მისი ნამდვილი შვილი ამ გამოცდაშიაც მართალი გამოვიდოდა.

სატანტო დარბაზში დადგეს ორი მაგიდა და ზედ ორი ძვირფასი კოლოფი. ხონთქარი და მისი ცოლი ავიდნენ ტახტზე. კარის კაცნი და ბევრნი მოწვეულნი დიდებულნი ჩამოსხდნენ ტახტის ახლოს. შემოიყვანეს ლაბაკანი. ამან მარდათ გაიარა დარბაზი, მივიდა სამეფო ტახტთან და დაიჩოქა.

— რას მიბძანებთ დიდებულო ხონთქარო, მამაო?..

ხონთქარი წამოდგა და თქვა:

— შვილო, ეჭვში არიან ზოგიერთნი რომ შენ ჩემი შვილი ხარ, უნდა ეს ეჭვი განქარწყლდეს. ამ ერთ-ერთ კოლოფში არის



საბუთი შენი ვინაობისა. შენ უნდა ამოარჩიო, რომელ კოლოფშია ეს საბუთი. იმედი მაქვს არ გაამტყუნებ ჩემ მოლოდინს.

ლაბაკანმა, დაიწყო ყუთების დათვალიერება, დიდხანს ფიქრობდა და მერე თქვა:

— დიდათ პატრეცემულო მამავ, რა წადილი შეედრება იმ ბედნიერებას, რომ თქვენი შვილი ისევ იპოვებ და ან იმ სიმდიდრეს, როგორც არის თქვენი სიყვარული. ამიტომაც მე ვარჩევ იმ კოლოფს, რომელზედაც აწერია: „ბედნიერება და სიმდიდრე“.

— ახლავე ენახავთ შენი ამორჩეული კოლოფი ბედნიერებას. შოგიტანს თუ არა, — თქვა ხონთქარმა. და უბძანა ომარი შემოეყვანათ.

ეს ახალგაზდა ყმაწვილი მოლუშული და მოწყენილი შემოვიდა; ყველა თანაგრძნობით შეცქეროდა ამას. ისიც, როგორც ლაბაკანი მივიდა ტახტთან, დაიჩოქა და ჰკითხა: რას მიბრძანებთო. მერე როდესაც უთხრეს რაშიაც არის საქმე მიუახლოვდა კოლოფებს, დაუწყო ყურადღებით შინჯვა და ბოლოს თქვა:

— ამ უკანასკნელ დღეებში გამოვცადე რათაცა ღირს სიმდიდრე და ბედნიერება. პატიოსნება კი არა ყოფილა ფუჭი, არც სახელის მოხვეჭა არის აღვილი. თუნდაც დაეკარგო გვირგვინი, მაინც პატიოსნებას და სახელის განთქმას ვირჩევ.

ომარმა ხელი გაუწვდინა კოლოფს, ის იყო, უნდა აელო. ამ დროს ლაბაკანიც მიუახლოვდა თავის კოლოფს და ზედ ხელი დაადო. მაგრამ ხონთქარმა ორივე შეაყენა. უბრძანა მოეტანათ ნაკურთხი ქაბის წყალი, გაიკეთა ნამაზი და წარმოთქვა შემდეგი.

— ჩემო მამა-პაპის მწყალობელო ალლახო, ნუ მოითმენ, რომ უღირსი გახდეს ჩვენი ჩამომავალი. ჩემ ნამდვილ შვილს მოუშართე ხელი: მოწყალებას ნუ მოაკლებ ამ განსაცდელის დღეს...

ხონთქარი ამ სიტყვებს შემდეგ ისევ ავიდა ტახტზე. ყველა მოლოდინში იყო. დადვა სიჩუმე, ბუზის ფრენაც კი ისმოდა. ვინც მოშორებით იყვენ, ფეხის ცერზე დგებოდენ, რომ დაენახათ ყველაფერი.

— გაიხსნას კოლოფები. წამოიძახა ხონთქარმა. მართლაც კოლოფების თავები, რომელსაც აქამდის ვერა ადამიანი ვერ ახლიდა, თავის თავათ აიხადა.

ომარის ამორჩეულ კოლოფში იდვა ხავერდის პატარა ბალი-



შეე პატარა გვირგვინი და პატარავე ოქროს კვერთხი. ლაბაკანის კოლოფში მარტო ერთი დიდი ნემსი იდგა ძაუ აგებული. ხონთქარმა მოიხმო ომარი, აიღო ხელში ეს პატარა გვირგვინი და უცებ, მოულოდნელათ, როდესაც ომარს ადგამდა თავზე გადიღდა. ხონთქარი გადაეხვია ომარს და გულში ჩაიკრა. მერე მოუბრუნდა ლაბაკანს და უთხრა:

მართალს ამბობენ: ყველა თავის ხელობის მიმდევარი უნდა აყოს. ხომ ხედავ, ყველა ამბობს, რომ მკერვალი ყოფილხარ და ისევე მკერვლათ წადი. შენ ღირსი ხარ, მკაცრათ დავსაჯონ, მაგრამ ვინც მთხოვია, იმისი სათრით აღარას გეუბნები. თუ ჭკუა გაქვს გავგეცალე, წადი ამ სახელმწიფოდან.

ლაბაკანი შერცხენილი, მწუხარე იყო, ხმის ამოდებასაც ვერ ახერხებდა. თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლები გადმოდიოდა. მუხლებში ჩაუვარდა თავის მსხვერპლს და წაიჩურჩულა:

— ბატონი შეილო, ნუ თუ როდასმე მაინც არ მაპატიებთ?

— ჩვენი ოჯახის ჩვეულება უნდა იყოს: არ უღალატონ მეგობრებს და მტრებს მოწყალის თვალთ უყურონ—უთხრა ომარმა—წადი შენ გზაზე და დაჩოქილი წამოაყენა.

— შეილო, შეილო, ახლა კი ვხედავ, ვინცა ხარ, შეჰყვირა აღელვებულმა ხონთქარმა და გულში ჩაიკრა.

ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასახლეში, ყველანი წამოდგნენ ფეხზე და ერთ ხმათ აღიდებდნენ ხონთქრის შეილს. ლაბაკანმა დრო ჩაიგდო და ამ არეულობაში აიღო კოლოფი და გამოვიდა. საჩქაროთ შეეკაზმა თავისი მოხუცი ცხენი და გაჰყურებდა ქალაქ ალექსანდრიისკენ. როდესაც კი მოიგონებდა, რომ რა მოკლე დრო დაჰყო ხონთქრის შეილათ—მოჩვენება ეგონა და რომ კოლოფი ოქროთი და თვალ-მარგალიტით მოჭედული არ სჭეროდა ხელში ნამდვილათ სიზმარი ეგონებოდა.

შევიდა თუ არა ალექსანდრიაში, თითქოს უნებურათ გაიარა იმ დუქნის კარებზე, სადაც მისი აღრიხდელი ოსტატი—თერძი იდგა. ჩამოხტა ცხენიდან და შევიდა სამუშაო ოთახში. ოსტატმა ჯერ ვერ დაინახა, მუშტარს ელაპარაკებოდა, მერე თავისი შაგირდები მოიხმო, ყველანი გარს შემოეჩრტყენ ამ ახალ მოსულ ამხანაგს. ოსტატმა დაუწყო ქვედრება, სხვისი ძვირფასი ტანისამოსი რათ წაიღე და ამითი სირცხვილში რათ ჩამაგდევო. ლაბაკანი, რაც შეეძლო, თავს იმართლებდა, მაგრამ ზოგმა ადლით დაუწყო ცემა, ზოგმა



უთოთი და სანამ გონზე მოვიდოდა, ისე მიბერტყეს, რომ იქვე და-  
გროვილ ძველ ტანისამოსზე დაეცა. მერე წამოიძახა: ახლაც ამ ტა-  
ნისამოსის შესახებ მოვედი. მზათა ვარ ერთი სამათ, ეიდრე ღირდა,  
გადავიხადო — ფული.

ამის პასუხათ ხელ მეორეთ ურტყეს და ურტყეს, ბოლოს წი-  
ხლების ცემით გამოაგდეს გარეთ. დაბეჭილი ღიდი ვაი-ვაგლახით  
შეჯდა თავის ბებერ ცხენზე და გასწია ერთ-ერთ ღუქანში ღამის  
გასათევათ. ფაქრებმა გაიტაცეს, ბევრი იფიქრა ცხოვრების უკულ-  
მართობაზე. ბოლოს დაადგა იმ აზრს, რომ სიძლიდრეს ღღვის იქით  
აღარ გამოუდგეს, პატროსნათ იცხოვროს და მშვიდობიანათ.


არც მეორე ღღეს გადაუდგა თავის აზრს, რადგან ამხანაგებისაგან  
კუდათ მიღებამ ღიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

ღღვის იქით თავისი ოფლით უნდოდა ემუშავა, ამიტომ მივი-  
და ოქრომჭედელს თავისი ძვირფასი კოლოფი და კარგი ფასი აი-  
ღო. ამ ფულით იყიდა პატარა სახლი, გამართა სამკერვალო, ზედ  
კარებზე დააწერა ღიდრონი ასოებით: „მკერვალი ლაბაკანი“ და  
შეუდგა მუშაობას — სწორეთ იმ ნემსით და ძაფით, რომელიც კო-  
ლოფში იპოვა.

გულთმისნის საჩუქარი უბრალო რამ არ იყო: ნემსი სწრაფათ  
და შეენიერთ ჰკერავდა. ძაფიც გამოუღვეელი იყო. ამიტომაც სა-  
კერავს ბევრს ძაფს არ ანდომებდა, ხარჯი ცოტა ჰქონდა და ტანი-  
სამოსი შეენიერთ იკერებოდა. ღიდალი მუშტარი მოაწყდა. ლაბა-  
კანმა მთელ არე-მარებზე გაითქვა სახელი, მხოლოთ ყველას ის აკვი-  
რებდა, რომ კერვაში მშველელს არავის იყვანდა და ჩაკეტილში  
მარტოთ კერავდა.

კოლოფზე ნაწერი სიტყვები გამართლდა ლაბაკანმა მოიპოვა  
სიმღარე და ბედნიერება და ომარმა სახელი და პატიოსნება.

ს. წ — ის.






ბ უ ზ ი

(თარგმანი)



ი ეს ზატარა ორ-ფრთიანი მწერი  
კაცს რომ თავს აბესრებს საფსუღის  
სიცხეებში. მაგრათ უნდა ჩასუროთ  
კარ-ფანჯარა და ჩამოაბნელოთ ოთა-  
ხი მოსასვენებლათ. ზატარა ჭუჭრუ-  
ტანიდანაც რომ შემოდოდეს სინათ-  
ლე, ბუხები მაშინათვე ასტეხავენ ბუ-  
ილს, დაიწეებენ ფრენას აქეთ-იქით,  
დაასხდებიან მძინარე ადამიანს, ზო-  
გი ზირში შეუფრინდება, ზოგი ცხვი-  
რში და ისეთ ნაირათ დაუწეებენ წვა-  
ლებას, რომ შეუძლებელია ამდროს  
ძილი. იჭერ ბუხს და ვიკვირს: ამ  
სუსტმა მწერმა, ზაწაწკინტელა ფრთე-  
ბით და ფეხებით როგორ უნდა შეაწუ-

ხოს ასეთი მძლავრი არსება, როგორიც კაცია? უბრალო  
თვლით ვეელაფერს ვერ გაუჩსრეკავ და ვერ დაუნახავ  
ბუხს, ისე ზაწაწკინტელაა. გამადიდებელი შუშის  
 შემწეობით აი როგორია ბუხი.

მოზრდილ-მორგვალთ თავს ორთავ მხარეზე შეამ-  
ჩნევთ ორ თვალს მოწითალო ფერისას, რომელთაც კარგა  
ადგილი უჭირავთ. ეს ორი დიდი თვალი ბუხისა, ასევე



მეტი ჰატარა თვალებიდან შედგება. ამას კარდა შუბლზე აქვს კიდევ რამოდენიმე ჰატარა თვალი. ბუხს არ შეუძლია აქეთ-იქით მიატრიალ-მოატრიალოს თავისი თვალები, როგორც ჩვენ, მაგრამ ადვილათ მანც არ დაეჭვინება სოლმე ადამიანს. შუბლზე, თვალებ შუა, ჩვენ ვხედავთ ჰატარა უღვაშებს. ჰირში აქვს ჰატარა სორთუმი, რომელსაც გაჭიდავს სოლმე, როდესაც ჰხედავს რამე საჭმელს. ბუხს თითქმის ყველაფერი უყვარს; არ დაიწუნებს მაგარს, ხმელს, ტკბილს და მჟავეს. აგრ დააჯდა მქარას ნაჭერს; დაიგრძელა სორთუმი, გაუშვა სორთუმიდან ჰატარა წმინდა წვეთი, დაარბილა მქარი, შეიკუმშა მერე სორთუმი და ჩაიკემრიელა ჰირი ტკბილი წვეთით. რმე ან სხვა რამე სითხე თუ ნახა, მაშინ წვეთის გამოშვება აღარ დაჭირდება სოლმე, ჰირდაჰირ წუწნის და შეექცევა საყვარელ საჭმელს. საუცხოვო სანახავია ბუხი, როცა რისამე ჰამას გაათავებს, მაშინა ნახავთ რა სისუფთავის მოყვარული მწერი და რა ნაირათ მოჰყავს ტანის ყველა ნაწილები წესსა და რიგში. უცბათ შეისვრის ჰაწია ფესებს ფრთებზე და ჩამოიწმენდავს მტვერს, გაისუფთავებს აგრეთვე ჰაწია სორთუმს და თავს. სულ ადვილათ ისუფთავებს სოლმე ყველაფერს, რადგან ფესები შემოსილი აქვს ბეწვით, როგორც სემოთ შენიშნეთ, გამაღიდებელის შუშას შემწეობით. თვალისთვის ძლივს დასანახი წვრილი ღერით არის გადაბმული თავი გულთან და გული კიდევ მუცელთან. ბუხის ტანი ფესებისავით დაფარულია ჰატარ-ჰატარ ბეწვებითა. ხშირათ გვიკვირს სოლმე ბუხის ძარდი სიარუ-



ლი ჭერში, კედლებზე, სარკეზე და ფანჯრებში. გასაკვირ-  
 ველიცაა, დასვით გინდა ჩიტი და გინდა რომელიმე ცხო-  
 ველი შუშაზე, თუ მაშინათვე არ დაცურდეს, — ბუხისათვის  
 კი სულ ერთია, საცა უნდა ირბენს. ბუხის სიმაღლის მი-  
 სეხს მაშინ მივხვდებით, როცა კარგათ გაუშინჯავთ ფე-  
 ხებს. ფეხებზე აქვთ მიგრული ერთი კუკანა ბალიშები და  
 აი ამ ბალიშებიდან გაუშვებს სოლმე ბუხი სველ სით-  
 ხეს, რომელიც ჭშველის მაგრათ განჩერდეს ცალიწულ სა-  
 ცნებზე.

ყოველ ფრინველსა და ცხოველსა აქვს სმა: ძროხას  
 შეუძლიან დაიბდავლოს, ბუღბული შეენივრათ და სმა.  
 მაღლა გალობს, მამალი ეივის და ეველა ესენი აღებენ  
 ზირს ხმის ამოსადებათ. ბუხი? ბუხი როცა ზირს გაა-  
 ღებს, გამოჰყოფს სორთუმს, მაგრამ ჩუმათა და მარტო  
 მაშინ ამოიღებს სოლმე სმას, როცა შიან. როცა კი  
 ბლომათ შეიკრიბებიან ჭერში ან კედლებზე, ცხადთ გვე-  
 სმის ბუხების ბზუილი, საიდან წარმოდგება ეს სმაურობა? აი,  
 საიდან: სხედან ბუხები ფანჯრის შუშებზე, შუშები დასველდენ  
 ორთქლით და წვეთი ჩამოვარდნაზეა. ბუხები შეამჩნევენ თუ  
 არა, საშოვარს გამოეკიდებიან, ცდილობენ ერთი მეორის  
 გასწორებას და რაც უფრო ჩქარა მიფრინავენ, იმდენათ  
 ჩქარა აღისთ მაღლა, რაც ფრთებ ქვეშ ბეწვები აქვთ, და  
 აი ეს სმაურობა გვესმის სოლმე და ამ სმაურობას ვუძა-  
 ხით ჩვენ ბზუილს.

ბუხები იბადებიან ჰატარა ბრჭვევიალა კვერცხებიდან.  
 ერთ წუთში რამდენიმე ასს, ქინძისთავის ჰატარა თავის  
 ტოლს, კვერცხებს დაღებს სოლმე ბუხი და ჩაჭერის სეს-



ვში ან ნაკავში, დანებებს თავს და გაჭფრინდება ამხანა-  
 კებში სანტუნათ და კაცის თავ-მოსაბესრებლათ. ერთის  
 დღის შემდეგ ამ ჰატარბ კვერცხებიდან იბადებიან უფესო  
 ჭიები, რამდენიმე დღის შემდეგ კი გაესუვიან ჰარკებში.  
 და გადაიქცევიან სოლმე იმ ბუხებათ, რომელთაც საუ-  
 ხულში აუარებელს ვსედავთ სოლმე სასლებში. მშობლები  
 შვილების დაბადება-გაზრდასე არა თუ სრუნავენ აღარც  
 კი ახსოვთ ძავიანთი შვილები და ველარც ცნობენ სოლ-  
 მე დიდობისას.

ა. კორკოტაძე





## უზარ-მაზარი ცხოველები

სპილო და მისი ჭკუა-გონება

### I




**თ**უმცა იშვიათათ, მაგრამ ზევს გეახებათ ცოცხალი სპილო, ან მხეცების საჩვენებელ სახლებში, ან ცირკში. აგერ ნახატს დააკვირდით, უზარ-მაზარი ცხოველია. სრული წლოვანი სპილო (30—35 წლ.) ოთხ არშინზე მეტი იზრდება, ასე რომ აქლემზე ერთი არშინით კადვე მალალია. სიგრძით ზოგის სპილო (ხორთუმი და კუდიც რომ ჩათვალთ) ორ საყენზე მეტისაა. სიმძიმეც რასაკვირველია თავის შესაფერი აქვს—ორას ფუთზე მეტს იწონს.

სპილოს ტლანქი ტანი სველი და მოკლეა, კისერი ძრეულ მოკლე აქვს. უშეგლებელი თავი ზურთს მიუგავს, რომლიდანაც პაწაწა გონიერი თვალები გამობჟუტავენ. ყურები შესაფერათ დაღოანი, უშნოთ, ფიჩვივით აქვს ჩამოფხატული. მალალს, სვეტებივით მსხეულ და მრგვალ ფეხებს ხუთ-ხუთი თათი აქვთ ერთათ შეერთებული, ასე რომ ცალცალკე თათების ხმარება ვერ შეუძლია.

უზარ-მაზარი აგებულება და მეტადრე მოკლე კისერი სპილოს ნებას არ აძლევს თავი დედამიწამდე დაღუნოს და ისაზრდოს. ამიტომაც სპილოს რომ ხორთუმი არ ჰქონდეს მშიერ-მწყურეალი მოკვდებოდა. ხორთუმი ისევ ის ცხვირსა ანუ დინგი, რამ



ბუნ, აც ზემო ტუჩიც თან მიღევს და მეტას მეტათ გაგძელებულა  
აკინძული რკოლებით, რის გამოც არამც თუ აღვილათ მო-  
ძრაობს და იკლაკნება, თან შეუძლ-ა სურვილსამებრ შეიკუმშოს.





და გაგრძელდეს კიდევ, ეს შესანიშნავი ორლანო, — ხორთუმი, ჩელი და მეტის მეტათ მგრძნობიარეა. ხორთუმით სპალო ყნასაეს და შეხებას გრძნობს, ხორთუმი თავდება ორ ნესტოთი და თითოეით პაწაწა ძიძიბით, რომლითაც შეუძლია სპილოს ისეთი წერილმან ნიეტების აღებაც როგორცაა ნემსი, უშალთუნი და სხვ. ზოგჯერ მტერსაც იგერებს, როგორც არის ნაჩვენები ნაჩატზე. ერთის სიტყვით სპილო ისე ხმარობს თავის ხორთუმს, როგორც ადამიანი ხელს და ხელის თითებს. წყალს ჯერ ხორთუმით შესვამს, მერე პირში დაკლის. აგრეთვე საჭმელსაც — ხის ყლორტებს და პატარა მცენარეებს, ჯერ ხორთუმით მოსტეხს, მოგლეჯს და მერე ხორთუმითვე დაბლუჯულს პირში გზავნის. პირში სპილოს საჭმლის დასაღეჭათ მხოლოდ უკანა კბილები აქვს და ისიც თითო ან ორ-ორა, მაგრამ მთელ თავის სიცოცხლეში ამ კბილებს 6—8 ჯერ იცვლის, ისეთის ხერხით კი, რომ თან ძველი კბილი ცვდება, თან მის უკან ახალი ამოდის, ამგვარათ ვიღრე ძველი ამოიფხვრება ახალი კბილი უკვე მზათაა.

მეტათ შესანიშნავი არის სპილოს გარეთა კბილები. ზემო ყბიდან სპილოს ეზრდება ორი დიდი ღოჯი ანუ ეშვი, რომელიცარ ეცვლება და მთელ მის სიცოცხლეში ზრდაში მატულობს. ეესტენდარპის სიტყვით, კარგა მოზრდილი ღოჯი ანუ ეშვი სპილოსი, სიგრძით ორი ადლია და თითო მათგანი ორ-სამ ფუტს იწონს, იშვიათ შემთხვევაში კი 4 ფუტზე მიძიმეც ხდება. თქვენ რასაკვირველია ხშირათ გენახებათ სპილოს ძელისაგან მომზადებული სხვა-და-სხვა გვარი ნივთები, მაგალითათ: სავარცხლები, დანის ტარები, ბილიარდის ბურთები და სხვა... აი ამ ნივთებს სპილოს ეშვებისაგან ან ღოჯებისაგან ამზადებენ.

ადამიანის სახარბე იქამდის მიდის, რომ კბილების გულისთვის ლამის მთელ დედამიწის ზურგზე სპილოს სახსენებელიც გაწყვიტონ. წარმოიდგინეთ წელიწადში 45 ათას ფუტს სპილოს კბილს (ეშვებს) გზავნიან ქვეყნის სხვა-და-სხვა ბაზრებში. გამოანგარიშებულია, რომ ამდენი ფუტის კბილების მოსაპოვებლათ სულ ცოტა ყოველ წლივ მონადირეებმა 50 ათასი სპილო უნდა მოკლან და მით თავას ხარბი თვალი გაიძღონ! ფუთი ძვალი სპილოს ეშვებისა 100—130 მან. ფასობს, ასე რომ ყოველ წლივ 4--5 მილიონ მანეთსა იხარჯება.



ამ ჟამათ ორ გვარი სპილო ცხოვრებს დედამიწის ზურგზე — აფრიკული და აზიური. აფრიკაში მცხოვრები სპილო ბევრათ დიდი აზიურზე. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ზოგ წიგნში სწერია, რომ აფრიკის სპილოსიმალლით 18 ფუტია, (ორ საყენზე მეტი) და სიგრძით 25 ფ. (13საყ. მეტი) ბრემიც მოგვითხრობს რომ ზოგიერთა მწერალნი მეჭის-მეტათ აზვადებენ სპილოს სიდიდესა.

სამშობლოა აზიურ სპალოსი ინდოეთი და მის მახლობლათ კუნძულები: ცეილონი, ბორნეო და სუმატრა. აქ მთელი ნახრობით ცხოვრებენ ტყით დაჩრდილულ ნოტიო ადგილებში, სადმე მდინარეების მახლობლათ. სპილოს ბანაობა ძრიელ უყვარს. დიდროვან მდინარეებში სულ მთლათ ჩაიმალება ხოლმე, ხორთუმსა და თავს კი არ ისევლებს. თუ შესაფერი მდინარე არ შეხვდა, მაშინ წყალს ხორთუმით შესვამს და ტანზე ისხამს. ზოგჯერაც ხორთუმით ხის ტოტებს მოტეხს და ისე იგერებს ბუზებს. —

საჭმელათ სპილოს უყვარს მწვანე ბალახი ცვრიანი. სანდერსონის გამოანგარიშებით თითო სპილოს საკვებათ დღეში 22 ფუთი ბალახი უნდება და 16 ვედრა წყალი. როცა ბალახი აკლდება სპილო ხის ყლორტებს და ტოტებს ხორთუმით პირში გზანის და ახრამუნებს, ბევრჯელ უნახამთ, რომ სპილოს შეექამოს მკლავზე უფრო მსხვილი ხის ტოტი. როცა გაუჭირდება ხორთუმით ბალახის ძირებს თხრის და ჭამს. — ძრიელ დიდი მოყვარულია სპილო შაქრის ლერწმისა და სხვა გვარ ხილისა, თუმცა იშვიათათ, მაინც შეიპარება ხოლმე პლანტაციებში. ეს არი და ეს. სხვაფრივ სპილოს კაცისათვის არავითარი ენება არ მოაქვს, მაგრამ კაცი კი უნამუსოთ დენის და ქლეტამს სპილოებს, რადგან სპილოთა საუბედუროთ კბილები აქეთ კაცისთვის გამოსადეგი. სპილო 150 წელიწადი ცოცხლობს და დედალი სპილო თითო შვილს შობამს ხოლმე და იმასაც ძრიელ იშვიათათ.

გარეულ სპილოებს ძრიელ ადვილათ იჭერენ და ადვილათაც მოაშინაურებენ ხოლმე, რადგანაც სპილო მშვიდი ხასიათისაა და ჭუთიაც ცხენსა და ძაღლს თუ არ აჯობებს, ნაკლები არ არი.

სპილოს ჭკუა-გონებაზე შემდეგ წერილში ვიბასოთ,



ძალღი, მგელი და მელია

ზღაზარი.

(რუსულიდან)



დიდი, ძალიან დიდი ხანია მას აქეთ, რაც ერთ დაბურულ ტყეში ცხოვრობდენ ძალღი, მგელი და მელია. უფროსათ მგელი ჭყავდათ, რადგან ორივესე დიდი დაღონიერი იყო. ტყეში მრავლათ ივეენ ნადირები და ფრინველები. საჭმელი ვეჲლას საკმაო ჭქონდათ და ამიტომ ყოველთვის მხიარულნი ივეენ.

მგელი, ძალღი და მელია სიცოცხლეს უმწარებდენ ვეჲლას: მთელ დღე დაღამეს დაწანწალებდენ ტყეში და სადაც კი თავიანთსე სუსტს ცხოველს დაინახავდენ — ვაი იმისი ბრალი! მერე რა ნაირათ იცოდენ სუნის აღება! ჩიტე რა გადაფრენილიყო, ან კურდღელს ფეს-აკრეფით გაველო, თუნდაც არ გამოჩენილიყვენ, არც მათი სმა მოსულიყო, — მელია, მგელი და ძალღი მანც გაიკებდენ სუნით და ფსოჭა-გლეჯით დაედევნებოდენ კვალ-და-კვალ, დაიჭერდენ და მიაცუსცუსებდენ სოროსკენ.

მგელი და ძალღი ძალიანა გვანდენ ერთმანეთს, ასე რომ ხანდისხან ვერც კი გაარჩევდით: ორივეს ცხვირ-პირი წაკველებული ჭქონდათ, უურები ცქვიტი, მარდიფესები, ბანჯკვლიანი კუდები. გრძელი ბაღანი; მხოლოთ



მკელს უფრო დიდი კბილები ჰქონდა, თვალები ელამი.

ესენი ცსოვრობდენ დაბურულ ტეეში მორიგებით, სანამ მაძღრები იუვენ. — მაგრამ როცა კი განახანაკეს ვისაც მოერეოდენ, დაუდგათ შიძშილობის ხანა, და აი დაიწვენ ხსუბი. ცდილობდენ გამოეცანათ ერთმანეთისათვის ნანადირევი. მოძეკებუღათ ძალღი დანაკრეს. მკელს ვერც მოხერსებით და ვერც ღონით ძალღი ვერა ჯობნიდა. ის გახდა, ბალანი გაექუცა და მკლის შიში ჩაუვარდა გულში. მკელი ორივესე ღონიერი იყო, სამაკიერთ მელია ცბიერი, ძარღი და მოხერსებული. შესედულობა მას ალერსიანი ჰქონდა; ბალანი გრძელი, ქერა, ფაფუკი ბანჯკვლიანი კუდს მიწასე მიათრევედა, მასვილი ყურები აცქვეტილი ჰქონდა, იმის წვრილსა და ღონიერ ფესებს შეემლოთ დაუღაღავათ სირბილი. წამოაფთხობდა მკელი კურდღელს, გამოეკიდებოდა დასაჭერთ; სად იყო სად არა მელიაც იქვე განდებოდა, უელებდა წინ, ამოფარებოდა ქვას, ან ჯირკვს და, როცა კურდღელი გამოურბენდა — წაწვდებოდა შიგ კისერში. ჭყავის კურდღელი, მელია კი მირბის... მკელი მიდევს!

— „დამაცა, მელიავ!“ ფიქრობს მკელი „მე თუ შენც მაც კურდღელს სედ არ მიგაყოლე — რაღა ბიჭი ვიქნები“ მელიამ მიიბინა სორომდის, ჩამერა შიგ და ნანადირევიც თან ჩაითრია. მკელიც იქვე დაიბადა. უნდოდა სოროში ჩამრომა, მაგრამ თავიც ძლივ ჩაეცია. მელიამ შიგ ცხვირში უკბინა. ემწვავა მკელს, შეჭვირო და ამოჭვირო თავი. დაიწყო გასისხლიანებული ცხვირის ლოკვა... დაცუცქდა და უცდის — ეკება მელია ამომერესო. თქვენც არ მოძიკვლეთ!.. უცადა, უცადა მკელმა, შეწუნდა შიძშიღით მოჭ-



ევა მიწის ჭამას—არ ეკემრიელა! დაღონებული წამუნძულდა. „ეჰ, გაჭირდა ტეეში ცხოვრება, ფიქრობს მკელი, აი, ე ძაღლი და მეღია რომ არ იუვენ, კიდევ ჭო.. ჩემ სკამო საჭმელს ვიძოვნდი!“

ამ დროს შემოევარა მას ძაღლი, ვაჯავრებული მკელი ეტაკა მას და დაუწყო წევწვა; გადადიოდა ბუნჯგალ-ბუნჯგალი ბაღანი! შეშინდა ძაღლი; ლოგორც იყო თავი დაასწია მკელს და წკაგ-წკავით და ემუილით გაიქცა კუდამოდებელი. ირბინა, ირბინა, ჰსუნდავს—დგას ერთი ქონი. ქონის წინ კაცი ზის და სორცსა ჭამს, გამოხრბა ძვალი და გადაავდო. მშიერმა ძაღლმა დაავლო ძვალს ჰირი და მოკურცსლა. საღამოსე, შიმშილმა რო შეაწუსა, ისევ მოვიდა ქონთან. კაცმა დაინახა ის და მიუვარა ნასუფრალი. ძაღლი მშიერი იყო და სუეველაფერს ხარბათ ჭამდა რასაც კი კაცი მიუტღებდა, თან შიმით უეურებდა მას. დაღამდა, მაგრამ ძაღლი ტეეში აღარ დაბრუნდა, იქვე ღობის ძირას მიეგდო.

ის ფიქრობდა იმაზე, რა ნაირათ დაჰკბინა მკელმა და კაცმა კი რა გემრიელი საჭმელი მიცა; მოხკონდა რომ წინათ ბევრჯელ მოუტაცნიათ იმას და მკელს კაცისათვის ცხვარი... და ძაღლს შერცხვა.

— „ჩემ დღეში აღარაფერს მოვიზარავ!“ — თქვა ძაღლმა: — „ამას იქით კაცის დარაჯი და მეკობარი ვიქნები!“

უეცრათ მას მოესმა ვიღასიც ფხის სხა და იგრძნო მგლის მოახლოება. წამოხტა და დაიწყო ეევა. კაცს გამოედვიმა, გამოვიდა ქონიდან. შეშინებული მკელი მაშინათვე გაიქცა.

— „ეს კარგია!“ — იფიქრა კაცმა: „ეტეობა ძაღლი



ჩემ მეგობრობას აზირობს: ის ჩემს სახლს და საქონელს უღარაჯებს; თუძცა შესედულობით კი მგელს ჰგავს, მაგრამ ეტყობა სხვა ხასიათისა. ახლა აღარაფრისა მემინან!“

კაცი ალერსით მიუახლოვდა ძაღლს. ის ჯერ უკან-უკან მიდიოდა კუდ-ამოძუებული. მერე მიიახლოვა კაცი. კაცმა ხელი გადაუსვა. ძაღლს იამა და ხელი აულოკა... ასე დამეგობრდენ ძაღლი და კაცი.

გავიდა წელიწადები, ტყეში ნადირი შეცოტავდა, და ისინიც, რომლებიც გადაჩენ, ისეთი ფთხილი და მშობრები განდენ, რომ იმათი დაჭერა ძალიან გამწელდა. მგელმა ანება თავი ტყეში ნადირობას, დაიწყო მინდვრათ სიარული, სადაც ძროხებს და ცხვრების ამოებდენ, მაგრამ ეს ძალიან სახიფათო იყო: დიდი ხანი იჯდა ხოლმე მგელი მიძალული, და უცდიდა ეგება ან ძაღლი მოშორდეს, ან მწუქმსებს ჩაემინოთ, ან რომელიმე ცხვარი სსვებს უკან ჩამორჩესო.

გავიდა საფსული. დადგა სამთარიც, საქონელს მინდორში აღარ უშვებდენ, მშიერი მგელი ღამით კარშემო უვლიდა ბაკებს. უნდოდა როგორმე შესულიყო, მაგრამ ეშინოდა. ჩამოცუცქლებოდა თოვლზე, შეცქეროდა მთვარეს, დმოდა და ისევ გაიქცეოდა ტყეში. შიმშილმა შეაწუსა მგელი, ერთხელ ამოიჩინა ბნელი ღამე და კადიზარა ფარესში, დაავლო ზირი ერთ ბატკანს, მოიგდო ზურგზე და მოუსო ტვისკენ. მეორე დღით, კაცმა ნახა, რომ ერთი ბატკანი აკლდა; მაგრამ რას იხამდა!

საღამოსე კაცმა აღლო ერთი კაი კეტი, დაუძახა ძაღლსა და თითონ მიიძალა იმ ადგილთან, საიდანაც მგელს



ბატკანი გადაეთრია. დაჯდა და დაუწყო ძაღლს ლანარბაკი:  
 „აბა, ჩემო მეგობარო, ვინძლო ჩუმათ იწვე და უური უგ-  
 დო მკლის მოსვლას: რა წამს დანახო—ეცი და წააქ-  
 ციე, მაშინ მეც მოგეშველები და გაჩვენე იმის სეირს!“

ძაღლი თვალებში შეცქეროდა ჰატრონს და კუდს იქ-  
 ნევდა, თითქო ესმის, რასაც ეუბნებიანო.

ბნელი და ცივი ღამე იყო. კაცს ჩაეძინა. უეცრათ და-  
 იეფა ძაღლმა, ეცა მკელს და დასცა მიწასე თავისი შე-  
 ურაცს-მეოფელი. კაცს ხმაურობასე გამოეღვიძა, წამოდგა,  
 მოიძარჯვა კეტი და ისე ღონივრათ დაცხო მკელს თავ-  
 ში, რომ სული განთხევინა.—ძოკვდა მკელი.

ტყეში მელიადა დანაჯარდობდა. სამთარში ისიც კი  
 ძლივ მოულობდა საკმაო სახრდოს: ფრინველები თბილ  
 ქვევებში გაფრინდენ, წვრილმანი ნადირები სოროებში მი-  
 იძალენ... უეცრათ მოისმა ძაღლის ყვილი. — „რა ვქნა ში-  
 მშილთ ხომ თავს არ მოვიკლავ, იფიქრა მელიამ, ვცდი  
 საქათმესი შესვლას: იქნება კი როგორმე ხელთ ვიგდო ქა-  
 თამი ან ისვი.“

გაიქცა მელია დათოვლილ მინდორზე, თან ნაფესურს  
 გმელი კუდით თოვლს აყრიდა, რომ ვერ მიეგნოთ მის  
 კვალისათვის. მივიდა ქოსამდის, შედგა, უურები აცქვიტა,  
 ინედება აქეთ-იქით, ეურს უგდებს, ხომ კაცმა არ გაიღ-  
 ვიძა, ან ძაღლი არ მორბისო. სინუძეა, ეველას ძინავს.  
 მელია უვლის ეხოს; სუნავს ჰაერს. იგრძნო ძაღლის სია-  
 ხლოვე და გაიქცა: „აბა, ძაღლო, რა კი შენ თავი დაგ-  
 ვანებე და კაცს დაუმეგობრდი“, ფიქრობს მელია. — მაშ შენ  
 ჩვენი ამხანაგი აღარ ხარ, შენ უნდა გერიდო“. იდგა  
 იდგა მელია და ახლა სხვა მხრიდან მოუარა ეხოს. იმისმ  
 ცხვირმა ქათმის სიანლოვე იგრძნო. შედგა მელია, კბი-  
 ლებმა კაწკაწი დაუწყო, ფიქრობს — როგორ გადავსტ-  
 ღობიდანახო; ბოლოს იპოვა სწორელი და შეძვრა. კინამ  
 დამ შიგ არ გაიჭედა, ცოტათი ქურქი კი ცაიფუჭა, მაგ-



რამ ესოში კი შევიდა. საქათმეც იქვე იყო. ქათმებს ტები-  
ლათ მინავთ, არ იცინან, რო უბედურება ეწევათ! მელიას  
ბევრი აღარ უფიქრია, დახსრხო რამდენიმე ქათამი და და-  
იწყო თითო-თითოს გატანა... უეცრათ მოისმა ფეხის ხმა.  
შეშინდა მელია! ხან ერთ კუთხეს ეცა, ხან მეორეს. რა  
ქანა? ეცა სვრელს, მაგრამ ვეღარ გაეცია: დასოცილი ქა-  
თმები სვრელის ჰირში ევარს, გვიანდა იყო გაქცევა! მე-  
ლიამ თავი მოიმკვდარუნა: დაეგდო მიწასე, ფეხები გაჭი-  
მა, თვალები დასუჭა, ოდნავა სუნთქავდა! კაცი შევიდა  
საქათმეში და ჰირ-კატა ეცა: დასოცილ ქათმებს შუა-  
გდია მკვდარი მელია. შეეცოდა კაცს ქათმები... წაავლო  
მელიას კუდში ხელი, გაიქნ-გამოიქნია და გადმოხვდო-  
ესოში. იმასაც ეს უნდოდა! წამოსტა და მოჰკურცხლა.

ამას შემდეგ კაცი ბევრსა ცდილობდა დაეჭირა მე-  
ლია, მაგრამ ტყუილათ!

ასე გავიდა სამთარი, დადგა განათხუელი. ერთხელ  
კაცი მთასე ცხვრებს ამოვებდა, ჰხედავს: ხეში მელია მი-  
რბის, იმას თან მიდევს შვილი, ისიც მოხრდილია; მიარ-  
ბინეს დიდ ქვასთან. დედა-მელამ უთხრა შვილს „ქვას ამო-  
ეუბარეო“, თითონ კი უკანვე გაიქცა. კაცი დადგა მთასე  
და უცქერის, რას იხამენ მელიებიო. ვნახოთ მოდევს მე-  
ლია კურდღელს. კურდღელი დაუპირდაპირდა ქვას. გამო-  
უსტა ჰატარა მელია, უნდოდა წაწვდენიყო მას, მაგრამ  
ხერხი მოუცდა. კურდღელმა თავს უშველა. გაჯავრდა ბე-  
ბერი მელია! დაუწყო შვილს ცემა... მელიები ისე გაიტა-  
ცა ჩხუბმა, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ მიუახლოვ-  
და მათ კაცი და ორივე მელა მოკლა.

ამ ნაირათ გადარჩა მხოლოთ ძალღი, რომელიც შე-  
იქნა კაცის მეგობარი და თანაშემწე.





## თ ი თ ე ბ ი

(გაგა)

**მ**რთხელ თითები შებასდენ: რომელი ჩვენგანი უკეთესიაო.

— „გაკმინდეთ სმა! ვისთან ბედავთ ლანარაკს? ვეველასე ღონიერი მე ვარ, უხემოთ თქვენ არაფრათ დირხართ! მე თქვენსე, ოთხივესე, მეტს საქმეს ვაკეთებ— ამიტომ მე თქვენი მეფე უნდა ვიყო!“ — ასე ვვიროდა ცერი.

საღოკმა თითმა წარმოთქვა: „ოველ საქმეს მე თქვენსე მარჯვეთ ვასრულებ! ბეჯითი და გამოსადეგი ვარ და ამიტომ თქვენსე მეტი მნიშვნელობაცა მაქვს!.. ის კი არაფერია, რომ საქმელს ეოველთვის ჩემი შემწეობით გაჭლოკავენ სოლმე!“

— „ჭაი გიდი, ჭაა! მე კი ველარა მხედავთ? ვის წინ გადადისართ მალაეს? იქონიეთ ცოტა სითავ-მდაბლე! ერთი შემომხედეთ, როგორ ბატონასავითა ვარ ამართული თქვენ შუა!“ წიწმბატობდა შუა-თითი. „მე თქვენსე დიდი და გრძელი ვარ და ამიტომ, უეჭველია, უკეთესიც მე ვაქნები!“

მაშინ უსასელო თითმა თქვა: ეს, ეს! ვხედავ, თქვენ



ერთობ ჭკუასე მწერალათა ბმანებულხართ! ვის ამძვენებენ ძვირფასი თვლებიანი ოქროს ბეჭდები? — მე, თუ თქვენ? რა საჭიროა ღანაზაკი: მე თქვენსე კეთილშობილი და დირსეული ვარ!

ნეკი ჩუმათ იყო და ბაასში არ ერეოდა. მაშინ დანარჩენმა თითებმა შეძახეს: „ერთი კვიბმანე, და-ძმობან, შენ რილას მახნისი ხარ? ნეკმა მიუგო: „მეც თქვენსავით ღვთის გახენილი ვარ, მაგრამ თქვენგან მასხარათ ასაგდებათ კი არა! კეტეობათ არა ცცოდნიათ, რომ ეველას თავისი შესაფერი ადგილი უჭირავს ქვეყანასე! რაც გამეწეობა თქვენ გენმარებით.

აღ. ბარნოვი







### ან და ს ე ბ ი

(წარმოდგენილს დ. ნახუერიშვილისაგან)

- 1) ვინ დასდევს ბებრის ქორწილში კუტსა და ქერის ლავაშსა.
- 2) სესიავ შენი ნაცელობა მერუობაზე ჩამოხდა.
- 3) ვირი დაბერდა, თოხარიკობა დაიწყო.
- 4) შენა ხარ ხერხში, არც ნე ვარ ტყეში.

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(იმერეთში ჩაწერილი ჩ—საგან)

ერუსალიმში ნაკურთხი მთაზე ზის—გორზე ბერია,  
 ზამთარ და ზაფხულ აროდეს არ გასციენია წვერია,  
 წელიწადშია თითოჯერ თაყვანსცემს ყველა ერია,  
 ის დღე ჩვენც გაგვიტენდება, ხელში გვაძლევდეს ბერია.

სუსტი—სუბუქი ფრინველი შინ მომტანელი ვარდისა,  
 ჯერე ღვთის მოსამსახურე, მერე ყოველი კაცისა.

ქვეყანას წვდება და ქურის თავს კი ვერ გადასწვდება.

უსულოდან სულიერი იბადება.

შავს წითელი გარს უვლის.

### ზმნა—გამოცანა

(წარმოდგენილი რეს-იმერლისა)

პირმშო თავისა მშობლისა  
 და ერთათ-ერთი ასული





შოთამ არაყო, რომ აქო  
 ღირსი ცათამდი ასული.  
 საშიშო თათარ-სპარსთა ღროს  
 მტერს რომ მტრის საქმე დამართა  
 ღროშა შემკული წმინდა ჯვრით  
 იეერთა მხსნელათ ამართა!...  
 მარად მის სახელს თაყვანს სცემს  
 გულით ნამდვილი ქართველი,  
 ის იყო ბრძენი მძლეობა-მძლე  
 შვიდ სამეფოთა მმართველი!!

### ჩქარა გამოხსატქმელი

(ჩაწერილი ალექსანდრე სათაშვილისაგან)

ნადვი, სოჭვი, ფიჭვი, კოკა-კუთალი,  
 თუ შენ არ გენადე, გესოჭე, გეფიჭე, გეკოკა-კუთლება,  
 მე რალათ მენადე, მესოჭე, მეფიჭე, მეკოკა-კუთლება.

შენი ელპიტ, ელნას, მაკრინ, პილასი, შენ თუ არ  
 გეელებიტ, გეელნას, გემაკრინ, გეპილასება, მე სულ არ  
 მეელებიტ, მეელნას, მემაკრინ, მეპილასება.

### ეპიტეზისი იგივე გამოცანა

(წარმოდგენილი ჭაჭაკო გიორგაძისაგან)

შ-რ-შ-ნ-დ-ლ-მ-მ-ჩ-მ-წ-ლ-ჩ-მ-შ-მ-ლ-შ-  
 წ-რ-მ-ნ-დ-ლ-ჩ-მ-შ-მ-ლ-დ-დ-ჩ-მ-ს-ქ-მ-რ-შ-

### სქნა

✓ (წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

ციხის კაცმა მიაწოდა აგური ელიზბარასა.  
 ტკბილი არის სიყვარული.  
 აგერ სწრაფი ელიოზი გერისთავის მლოცველია.

### აკროსტიხი

(წარმოდგენილი მისგანვე)

ბედნიერია იგი ქვეყანა,  
 არ დაღონდება ის არასოდეს  
 რომ მისი მსგავსი, კეთილ-მშრომელი,  
 ბევრი სხვა ქალაქ ებადებოდეს.



ამ ღირსებასა ჩვენი სამშობლო,  
 რა გულისაკლავათ არს მოკლებული,  
 ერთი-ორითა ამაყოფს მხოლოთ,  
 ჯაერითა ესტირით ცეცხლ-მოღებული!..  
 ოჰ, ამ მცირე დასს, კიდევ მოაკლდა,  
 რა გვარ მოღვაწე კეთილ-მშრომელი,  
 ჯაბანი ხალხის სიტყვით შემრცხვენი,  
 არ პირ-მოფერო მიუდგომელი.  
 ძეგლი აიგო სიცოცხლეშივე,  
 იგი მოგვეშორდა ვალ გადახდილი  
 სამშობლო ენის მადიდებელის  
 აგერ ზეცაში ბრწყინავს აჩრდილი!...

### სიტყვის გამოცანა

1	2	3				
	4					
5	6	7				
8	9	10	11	12		
13	14	15				
	16					
17	18	19	20	21		
22	23	24	25	26	27	28

- 1) 21. 4. 5. 28. 11. 12 — გმი.ის სახელი
- 2) 11. 12. 28. 25. 24 — ყაზიბეგის თხზულების სახელი
- 3) 16. 2 3. 13. — საქართველოს ქალაქი
- 4) 3. 10. 4. 12. 28. — ადამიანის უსაქიროესი ნაწილი
- 5) 17. 11. 14. 20. 6. 5. 19 — მთის ხალხი
- 6) 22. 26. 27. 4 — . . მოსული პური
- 7) 23. 2. 10. 12. 28. ზამთრის ნიშანი
- 8) 7. 14. 23. 27. 15. 8. 14 — საქართველოს კუთხე
- 9) 25. 11. 21. 22. 10. 26 — მოსავლის დამაზარალებელი
- 10) 1. 24. 8. 28. — პური.
- 11) 25. 6. 5. 23. — ერთნაირი ქურქული

გამოიცანით ყველა ეს სიტყვები და ასოები ჩასვით თავ-თავის უჯრაში, მაშინ თავიდან რომ წაიკითხოთ გამოვა მწერლის სახელი და გვარი და ერთა მისი თხზულების სათაური.





შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი უ. მჯიშელოსაგან)

პირველი არის თვისება  
შალეულ ტანსაცმელისა,  
მეორით ძაღლებს ვაქვზებთ  
როცა ნადირი გველის  
მთელი კი არის ქალაქის  
ბაღლებო, კერძო სახელი  
ჩვენი წარსული დიდების  
მთქმელი და გამომსახელი.  
მას წინეთ დედა ქალაქათ  
უხმობდა კაცი და ქალი,  
მაგრამ დღეს აღარც დედაა  
და აღარც დედინაცვალი.

რ ე ბ უ ს ი

3

(25 ქრისტეშობის თვე) ლ ო




(ცეცხლის მოსა-  
კიდებლათ ტალ-  
კვისის მეტი რა არის  
საჭირო?) (ბორ-  
ოტი  
ანუ?)



ნ  
მ ი

ვა აღმოუხერობა

მოგ ბ  
ესა ა  
ოს



ს

მ  
მ

დიდისნის  
შენახულ  
პურს რა  
მოეკიდება?

და მო



ა  
ბ



ა  
რო  
ბა





ყაჭიბეგის  
თხულების  
სათურის



მ  
მ  
მ



მ  
მ  
მ



მ

მამაცი  
ანე?

მ




გიორგი XIII  
რა იყო რააკლი  
II-სი?

მ  
მ  
მ



მ  
მ  
მ



კატე რომ ვკვდება  
რა ამოდის? | ს ქროზა.

### № II გამოცანების ახსნა:

- 1) ღამე. 2) ლოკოინა. 3) წაბლი. 4) მღვდელი.

ზმნა—გამოცანა: აკაკი.

სამათემთიგო გამოცანა: ერთ ძმას ერგო ათი თხა ორ-ორ თიკნიანი. მეორე ძმას ხუთი თხა სამ-სამ თიკნიანი და ხუთ-თითო თიკნიანი. მესამესაც ერგო: ხუთი თხა სამ-სამი თიკნიანი და ხუთი თითო თიკნიანი.

აკროსტიხი: აკაკი წერეთელი

შარადა: ოლა, ალო, კოლა, სკოლა.

რებუსი: ყველა თავისას ჩიოდა მინახირე ბუზანკალსაო.

ზოგი გამოცანები, აკროსტიხი, შარადა და რებუსი გამოიცნო ქუთაისის გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფემ ირაკლი მჭედლიშვილმა.

რედაქტორ-განმომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა

